

## ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიამ 2013 წლის 22 იანვარს მიიღო №37/23 გადაწყვეტილება "საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 2 ნოემბრის №700/23 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების განმეორებით დაწყების შესახებ".

გადაწყვეტილების შესაბამისად, ზეპირი მოსმენის სხდომა დაინიშნა 2013 წლის 22 თებერვალს 16.00 საათზე, ხოლო საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასრულების მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა წარმოების დაწყებიდან 2 თვე.

კომისია აღნიშნავს, რომ ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ საკითხის ზეპირი მოსმენა დაიწყო კომისიის 2013 წლის 22 თებერვალის სხდომაზე და გაგრძელდა 2013 წლის 1, 5 და 12 მარტს. გადაწყვეტილების მიღების თაობაზე კომისიამ იმსჯელა 2013 წლის 20 მარტს. კომისიის ზეპირი მოსმენის და 2013 წლის 20 მარტის სხდომებს ესწრებოდნენ: ვ. აბაშიძე, სს "სილქნეტის" ოპერატორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი; მ.გონაშვილი, სს "სილქნეტის" იურიდიული სამსახურის უფროსი; გ. ჭელიძე, შპს „კავკასუს ონლაინის“ იურიდიული სამსახურის უფროსი; გ. როსტომაული, შპს "კავკასუს ონლაინის" კომერციული დირექტორი; დ. კაკაბაძე, შპს "კავკასუს ონლაინის" იურიდიული კონსულტანტი; მ. ქავთარაძე, შპს "კავკასუს ონლაინის" ტექნიკური დირექტორი; ხ. პეტრიაშვილი, შპს "სერვისნეტის" დირექტორი; დ. თუთბერიძე, შპს "კავკასიის ციფრული ქსელის" დირექტორი; ნ. ძველიშვილი, Media.ge-ს ჟურნალისტი.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის (ე.ასანიძე, დ.გოგიჩაიშვილი) მიერ წარმოდგენილი იქნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას ჩატარებული ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის შედეგები, აგრეთვე შპს "კავკასუს ონლაინის" და სს "სილქნეტის" მიერ წარმოდგენილი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე დანახარჯების მიკუთვნების მოდელები. კერძოდ:

ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის მიზნისათვის, გამოიყო ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ორი ქვესეგმენტი: ა) გაფართოებული ურთიერთჩართვის და ბ) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების.

**1. გაფართოებულ ურთიერთჩართვასთან დაკავშირებით, კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ:**

კომისიის 2012 წლის 5 ნოემბერს წერილით მოთხოვნილი იქნა ინფორმაცია ინტერნეტ მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირებისაგან მათ მფლობელობაში არსებული ტექნიკური საშუალებების, აგრეთვე ინტერნეტ პროვაიდერებს შორის არსებული გაფართოებული ურთიერთჩართვის სიმძლავრეების შესახებ. ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა 30 ავტორიზებულ პირისაგან: შპს "ჯეონეტი"; შპს "ულტრა სერვისი"; შპს "სერვისლაინი"; შპს "ინტელკომ ჯგუფი"; შპს "ქვანტუმ გრუპი"; შპს "ალტერნეტი"; შპს "კავკასიის ციფრული ქსელი"; შპს "სისტემნეტი"; შპს "კონექტი"; შპს "ჯეოსელი"; სს "სილქნეტი"; შპს "მაგთიკომი"; შპს "რკინიგზის ტელეკომი"; შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"; შპს "კავკასუს ონლაინი"; სს "გლობალ ერთი"; შპს "ვიტელ ჯორჯია"; შპს "სერვისნეტი"; შპს "მობიტელი"; შპს "თი ნეტი"; შპს "სოფთლაინ საქართველო"; შპს "ჯეჯე სტუდიო"; შპს "დელტა ნეტი"; შპს "სერვ.ჯი"; შპს "პროსერვისი"; შპს "WEAVER"; შპს "მაიფონი"; შპს "ვებკომი"; შპს "მიკრონეტი"; შპს "Bleack See Telecom".

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ გაფართოებული ურთიერთჩართვა განხორციელებული აქვს 25 ავტორიზებულ პირს.

1. შპს "მობიტელი";
2. შპს "მიკრონეტი";
3. შპს "რკინიგზის ტელეკომი";
4. შპს "მაგთიკომი";
5. შპს "Bleack See Telecom";
6. შპს "ვიტელ ჯორჯია";
7. შპს "კავკასუს ონლაინი";

8. შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია";
9. შპს "ჯეონეთი";
10. შპს "ალტერნეტი";
11. შპს "ულტრა სერვისი";
12. შპს "ჯეოსელი";
13. შპს "კონექტი";
14. შპს "დელტანეტი";
15. შპს "სისტემნეტი";
16. შპს "სერვისნეტი";
17. სს "გლობალ ერთი";
18. შპს "კავკასიის ციფრული ქსელები";
19. შპს "თი-ნეტი";
20. სს "სილქნეტი";
21. შპს "ეარნეტი";
22. შპს "ფასტნეტი";
23. შპს "მაქსტელი";
24. ააიპ "საქართველოს მეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერების ასოციაცია გრენა";
25. შპს "მაიფონი".

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობა და შეუსაბამობა სხვადასხვა კომპანიების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. წარმოდგენილი ინფორმაცია დაზუსტდა შპს "სერვისნეტის", შპს "ვიტელ ჯორჯიას"; შპს "კავკასიის ციფრული ქსელების", შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია" და შპს "მაიფონის" მიერ. შპს "სერვისნეტის" ინფორმაციით, აღნიშნული უზუსტობები გამოწვეული იყო 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში რუსთაველის გამზირ №31-ში მოწყობილი ურთიერთჩართვის წერტილის გაუქმების და ახალი ურთიერთჩართვების მოწყობით.

კომისიის მიერ შპს "სისტემნეტს" გაეგზავნა წერილი (N 08/441-13, 2013 წლის 5 მარტი), სადაც აღნიშნა რომ შპს "სისტემნეტის" მიერ გაფართოებული ურთიერთჩართვის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციასა (წერილი №114, 16.11.2012წ. ფორმა №3) და სხვა კომპანიების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას შორის არსებობს გარკვეული სხვაობა. შპს "სისტემნეტს" მიეცა ორი დღის ვადა ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

2012 წლის 6 მარტს შპს "სისტემნეტისგან" კომისიაში შემოვიდა წერილი №45, სადაც აღნიშნულია, რომ კომისია არის კოლეგიალური საჯარო ორგანო, რომელიც კანონის მე-8 მუხლის თანახმად, იღებს სამართლებრივ აქტებს, კომისიის დადგენილებებს, კომისიის გადაწყვეტილებებს და კომისიის თავმჯდომარის ბრძანებას; ხოლო კომისიის მიერ შპს "სისტემნეტისთვის" მიწერილი წერილი არ წარმოადგენს არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ სამართლებრივ აქტს. ამასთან, შპს "სისტემნეტი" აღნიშნავს, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების მე-5 მუხლის თანახმად, კომისიის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მათ შორის კომისიის აპარატის ადმინისტრირებას, ახორციელებს კომისიის თავმჯდომარე, შესაბამისად კომისიის წევრებს ცალ-ცალკე და თუნდაც ერთად არ აქვთ უფლება კომისიის სახელით გამოვიდნენ მესამე პირებთან ურთიერთობაში ანუ განახორციელონ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შპს "სისტემნეტი" იტოვებს უფლებას არ გასცეს წერილობით მოთხოვნილი ინფორმაცია.

იმის გამო, რომ შპს "სისტემნეტმა" კომისიაში არ წამოადგინა დაზუსტებული ინფორმაცია, მონაცემები გაფართოებული ურთიერთჩართვის მოცულობების შესახებ ადებულ იქნა სხვა ავტორიზებული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან.

**ცხრილი № 1**

**გაფართოებული ურთიერთჩართვის მოცულობები 2012 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით**

|                   | არხის ტევადობა                         |                                       |
|-------------------|--|---------------------------------------|
|                   | ურთიერთჩართული ოპერატორისკენ (გგბტ/წმ) | ურთიერთჩართული ოპერატორიდან (გგბტ/წმ) |
| ავტორიზებული პირი |  |                                       |

|    |   |       |       |
|----|---|-------|-------|
| 1  | შპს "მობიტელი"  | 0,205 | 0,15  |
| 2  | შპს "მიკრონეტი"   | 1,4   | 1,4   |
| 3  | შპს "რკინიგზის ტელეკომი"                                  | 8,5   | 8,5   |
| 4  | შპს "მაგთიკომი"   | 3,5   | 3,5   |
| 5  | შპს "Bleack See Telecom"                                  | 0,1   | 0,1   |
| 6  | შპს "ვიტელ ჯორჯია"  | 4,2   | 4,2   |
| 7  | შპს "კავკასუს ონლაიანი"                                   | 12,8  | 32,4  |
| 8  | შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"; | 13    | 16,6  |
| 9  | შპს "ჯეონეთი"   | 1,65  | 1,65  |
| 10 | შპს "ალტერნეტი"   | 2,1   | 2,1   |
| 11 | შპს "ულტრა სერვისი"                                       | 0,14  | 0,14  |
| 12 | შპს "ჯეოსელი"   | 6,9   | 6,9   |
| 13 | შპს "კონექტი"   | 3,7   | 3,7   |
| 14 | შპს "დელტანეტი"   | 6,7   | 6,7   |
| 15 | შპს "სისტემნეტი"  | 20,1  | 25,1  |
| 16 | შპს "სერვისნეტი"  | 3,3   | 3,3   |
| 17 | სს "გლობალ ერთი"  | 3,3   | 3,3   |
| 18 | შპს "კავკასიის ციფრული ქსელები"                           | 3,3   | 3,3   |
| 19 | შპს "თინეტი"  | 4,3   | 4,3   |
| 20 | სს "სილქნეტი"   | 10,71 | 22,71 |
| 21 | შპს "მაიფონი"   | 0,6   | 0,6   |

კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების მიხედვით, ინტერნეტ მომსახურებას აბონენტებს აწვდის 92 ავტორიზებული პირი:

ცხრილი №2

ინტერნეტის ქსელით მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|    |   |    |                               |    |                                   |
|----|---|----|-------------------------------|----|-----------------------------------|
| 1  | ინდ. მეწარმე „ოლეგი უგრეხელიძე“                             | 32 | იმპულსი                       | 63 | თორნიკე ანთია                     |
| 2  | შპს „სპიდლანი“  | 33 | შპს „SKYGROUP“                | 64 | შპს „ექსტრანეტ“                   |
| 3  | შპს „ინტელკომ ჯგუფი“  | 34 | შპს „ბორჯომულა“               | 65 | შპს „Skynet“                      |
| 4  | სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი“                          | 35 | შპს „ჯეო ნეტი“                | 66 | შპს „საბნეტი“                     |
| 5  | შპს „WIPEX“   | 36 | შპს „სიმნეტი“                 | 67 | შპს „ინტერკომი“                   |
| 6  | შპს „ინფორმაციული ტექნოლოგიების კონსულტაცია და მომსახურება“ | 37 | შპს „ულტრანეტ“                | 68 | შპს „სერვისლანი“                  |
| 7  | შპს „BLACK SEA TELECOM“                                     | 38 | შპს „გლობალკომი“              | 69 | შპს „ზანეტი“                      |
| 8  | შპს „თრია-ნეტ“  | 39 | ინდ. მეწარმე „ცირა სორდია“    | 70 | შპს „მმ ნეთვორქს ("MM Networks")“ |
| 9  | შპს „დელტა კომმი“   | 40 | შპს „გლობალ ერთი“             | 71 | შპს „ეარნეტი“                     |
| 10 | შპს „სკაინეტ“   | 41 | ინდ. მეწარმე „ნათია კუპატაძე“ | 72 | შპს „SKYNET“                      |
| 11 | შპს „ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს“                       | 42 | შპს „აირმაქსი“                | 73 | შპს „სკაინეტ“                     |

|    |   |    |  |    |  |
|----|---|----|--|----|--|
| 12 | შპს „სხარტი“  | 43 | შპს „ბოლნისის ახალი ქსელები“                       | 74 | შპს „სერვისნეტ“  |
| 13 | შპს „Xnet“  | 44 | ინდ. მეწარმე „თინა გოზალიშვილი“                    | 75 | შპს „ორდუნეტ“  |
| 14 | შპს „აირკონექტი“  | 45 | შპს „ლუკნეტ (LukNet)“                              | 76 | ვი-ჯი-ეს ნეთვორქ   |
| 15 | შპს „ნატექსი“   | 46 | შპს „სამნეტ (samnet)“                              | 77 | შპს „ფასტ ნეტ“   |
| 16 | შპს „TV სუპერი“   | 47 | ინდ. მეწარმე „ბესიკი წაქაძე“                       | 78 | შპს „ივერია ქსელი“                                       |
| 17 | შპს „აირნეტი AIRNET“  | 48 | შპს „PC&I Networks“                                | 79 | შპს „G-NET“  |
| 18 | შპს „ჯეონეთი“   | 49 | შპს „სამეცნიერო-ტექნიკური ასოციაცია "ინტეროპტიკა"“ | 80 | შპს „ჯენეტ“  |
| 19 | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერების ასოციაცია გრენა“ | 50 | ინდ. მეწარმე „დარეჯან მუმლაძე“                     | 81 | შპს „დელტა-ნეტი“   |
| 20 | შპს „ულტრა სერვისი“   | 51 | შპს „ნეტ სითი“                                     | 82 | შპს „მიკრონეტი“  |
| 21 | ინდ. მეწარმე „რუსლან ინასარიძე“   | 52 | შპს „ეარლინკი“                                     | 83 | შპს „ა-ნეტ A-NET“  |
| 22 | შპს „iConnect“  | 53 | შპს „ეარნეტი“                                      | 84 | შპს „ვიტელ ჯორჯია“                                       |
| 23 | შპს „დანი კომპიუტერსი“  | 54 | შპს „კავკასიის ციფრული ქსელი“                      | 85 | შპს „ახტელი“   |
| 24 | შპს „INTERMEDIARY“  | 55 | შპს „ეარ ლაინი“                                    | 86 | შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“ |
| 25 | შპს „ვიფინეტი wifinet“  | 56 | შპს „ალტერნეტი“                                    | 87 | შპს „ახალი ქსელები“                                      |
| 26 | შპს „რეალნეტი“  | 57 | შპს „იმერნეტი“                                     | 88 | შპს „მაგთიკომი“  |
| 27 | ინდ. მეწარმე „თეიმურაზი აბულაძე“  | 58 | შპს „ფრინეტი“                                      | 89 | შპს „კავკასუს ონლაინი“                                   |
| 28 | შპს „გეო ვლან“  | 59 | შპს „ლომისი 2011“                                  | 90 | სს „სილქნეტი“  |
| 29 | შპს „GeNet ჯინეტი“  | 60 | შპს „FlyNet“                                       | 91 | შპს „ჯეოსელი“  |
| 30 | შპს „თელნეტი“   | 61 | შპს „ვესტნეტი“                                     | 92 | შპს „მობიტელი“   |
| 31 | შპს „გეოფლაი“   | 62 | შპს „რკინიგზის ტელეკომი“                           |    |  |

**ცხრილი №3**

**ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა**

|                        | CDMA  | DSL     | EVDO   | HSPA/ EVDO | WiFi | Wi Max | MOBILE  | FIBER      | SATEL L. | სულ     |
|------------------------|-------|---------|--------|------------|------|--------|---------|------------|----------|---------|
| შპს „ჯეოსელი“          | 0     | 0       | 0      | 0          | 0    | 0      | 441 081 | 0          | 0        | 441 081 |
| შპს „მაგთიკომი“        | 9 469 | 0       | 41 980 | 22 133     | 0    | 0      | 280 522 | 0          | 0        | 354 104 |
| შპს „მობიტელი“         | 0     | 0       | 0      | 0          | 0    | 0      | 238 669 | 0          | 0        | 238 669 |
| სს „სილქნეტი“          | 511   | 156 570 | 141    | 0          | 197  | 0      | 108     | 43<br>166  | 11       | 200 704 |
| შპს „კავკასუს ონლაინი“ | 0     | 5 924   | 0      | 0          | 136  | 0      | 0       | 115<br>918 | 0        | 121 978 |

|   |    |        |   |   |       |       |   |        |   |        |
|---|----|--------|---|---|-------|-------|---|--------|---|--------|
| შპს „ახალი ქსელები“   | 0  | 29 972 | 0 | 0 | 0     | 0     | 0 | 604    | 0 | 30 601 |
| შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“                                    | 0  | 2 654  | 0 | 0 | 108   | 0     | 0 | 17 920 | 0 | 20 682 |
| შპს „ახტელი“  | 0  | 13 803 | 0 | 0 | 0     | 0     | 0 | 61     | 0 | 13 878 |
| შპს „ვიტელ ჯორჯია“  | 0  | 0      | 0 | 0 | 159   | 8 240 | 0 | 0      | 0 | 8 399  |
| შპს „ა-ნეტ A-NET“   | 0  | 570    | 0 | 0 | 377   | 0     | 0 | 1 170  | 0 | 2 117  |
| შპს „მიკრონეტი“   | 0  | 0      | 0 | 0 | 1 226 | 0     | 0 | 0      | 0 | 1 226  |
| შპს „დელტა-ნეტი“  | 0  | 0      | 0 | 0 | 0     | 0     | 0 | 936    | 0 | 1 070  |
| შპს „Skynet“  | 0  | 0      | 0 | 0 | 1 057 | 0     | 0 | 0      | 0 | 1 057  |
| შპს „ჯენეტ“   | 0  | 0      | 0 | 0 | 1 046 | 0     | 0 | 0      | 0 | 1 046  |
| შპს „G-NET“   | 0  | 0      | 0 | 0 | 930   | 0     | 0 | 33     | 0 | 963    |
| შპს „ივერია ქსელი“  | 0  | 879    | 0 | 0 | 0     | 0     | 0 | 0      | 0 | 879    |
| შპს „ეარნეტი“   | 0  | 0      | 0 | 0 | 845   | 0     | 0 | 0      | 0 | 845    |
| შპს „ფასტ ნეტ“  | 0  | 0      | 0 | 0 | 837   | 0     | 0 | 0      | 0 | 837    |
| შპს „ვი-ჯი-ეს ნეთვორქ“  | 0  | 0      | 0 | 0 | 830   | 0     | 0 | 0      | 0 | 830    |
| შპს „ორდუნეტ“   | 0  | 0      | 0 | 0 | 807   | 0     | 0 | 0      | 0 | 807    |
| შპს „სკაინეტ“   | 0  | 0      | 0 | 0 | 724   | 0     | 0 | 8      | 0 | 732    |
| შპს „სერვისნეტ“   | 0  | 234    | 0 | 0 | 0     | 0     | 0 | 495    | 0 | 729    |
| შპს „მმ ნეთვორქს ("MM Networks")“   | 0  | 0      | 0 | 0 | 607   | 0     | 0 | 0      | 0 | 607    |
| ისეთი კომპანიების აბონენტთა რაოდენობის ჯამი, რომელთა აბონენტების რაოდენობა არ აღემატება 500 | 11 | 768    | 0 | 0 | 7 790 | 436   | 0 | 329    | 2 | 9 519  |

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ჰოსტინგით მომსახურებას ეწევა 17 ავტორიზებული პირი.

ცხრილი №4

ჰოსტინგ-პროვაიდერების საბაზრო წილი სერვერზე გაწერილი დომენების მიხედვით

**წილები სერვერზე გაწერილი დომენების მიხედვით**

|    | ავტორიზებული პირი                                      | სერვერზე გაწერილი დომენების რაოდენობა |                                | სულ   |         |
|----|--|---------------------------------------|--------------------------------|-------|---------|
|    |  | მულტიმედიური                          | ინფორმაციული და სხვა დანარჩენი |       |         |
|    |  | ცალი                                  | ცალი                           | ცალი  | %       |
| 1  | შპს მობიტელი   | 0                                     | 10                             | 10    | 0,07%   |
| 2  | შპს რკინიგზის ტელეკომი                                 | 0                                     | 70                             | 70    | 0,47%   |
| 3  | შპს მაგთიკომი  | 0                                     | 2                              | 2     | 0,01%   |
| 4  | შპს Black Sea Telecom                                  | 0                                     | 11                             | 11    | 0,07%   |
| 5  | შპს ვიტელ ჯორჯია                                       | 0                                     | 27                             | 27    | 0,18%   |
| 6  | შპს კავკასუს ონლაინი                                   | 905                                   | 9154                           | 10059 | 67,63%  |
| 7  | შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია | 1                                     | 61                             | 62    | 0,42%   |
| 8  | შპს ალტერნეტი  | 0                                     | 15                             | 15    | 0,10%   |
| 9  | შპს ჯეოსელი  | 0                                     | 18                             | 18    | 0,12%   |
| 10 | შპს კონექტი  | 18                                    | 7                              | 25    | 0,17%   |
| 11 | შპს დელტანეტი  | 0                                     | 730                            | 730   | 4,91%   |
| 12 | შპს სერვისლაინი  | 1                                     | 2                              | 3     | 0,02%   |
| 13 | შპს სისტემნეტი   | 2                                     | 76                             | 78    | 0,52%   |
| 14 | შპს სერვისნეტი   | 1                                     | 206                            | 207   | 1,39%   |
| 15 | შპს გლობალ ერთი  | 0                                     | 32                             | 32    | 0,22%   |
| 16 | შპს კავკასიის ციფრული ქსელები                          | 0                                     | 243                            | 243   | 1,63%   |
| 17 | სს "სილქნეტი"  | 1                                     | 3280                           | 3281  | 22,06%  |
|    | სულ  |                                       |                                | 14873 | 100,00% |

გაფართოებული ურთიერთჩართვების მოცულობა არასიმეტრიულად ნაწილდება მხოლოდ შპს "კავკასუს ონლაინის" მიმართულებით, რადგან შპს "კავკასუს ონლაინის" სერვერებზე გაწერილია საქართველოში რეგისტრირებული დომენების 67.63 %. კონტენტ-პროვაიდერების მულტიმედიური (პროგრამული ფაილები, ვიდეო, აუდიო) 929 ვებ გვერდიდან 905 შპს "კავკასუს ონლაინის" სერვერზეა გაწერილი (97.42%). შესაბამისად, მომხმარებლისგან წარმოქმნილი ტრაფიკის დიდი ნაწილი მოდის ასეთი სახის ვებ გვერდებისკენ.

"ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის შესახებ" კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის №605/9 გადაწყვეტილების შესაბამისად, ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განისაზღვრნენ შემდეგი ავტორიზებული პირები:

1. შპს "კავკასუს ონლაინი",
2. სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია",
3. სს "ეგრისი",
4. შპს "რკინიგზის ტელეკომი",
5. შპს "ნამიო",
6. შპს "ვანექსი",
7. შპს "სერვისი",
8. შპს "გრენა",
9. შპს "კავკასიის ციფრული ქსელი",
10. შპს "ჯეონეთი",
11. შპს "ულტრაკომი",
12. სს "გლობალ ერთი".

შენიშვნა: 2010 წლის 30 აპრილის №215/19 გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის შესაბამისად, კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის №605/9 გადაწყვეტილებას დაემატა მე-13 პუნქტი, რომლის თანახმადაც კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის №605/9 გადაწყვეტილებით სს "გაერთიანებული ტელეკომისთვის" და შპს „ვანექსისთვის“

დაკისრებული ვალდებულებების შესრულება 2010 წლის 1 მაისიდან დაკისრა შპს „სილქნეტს“ (შპს „სილქნეტმა“ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად, ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, გადაწყვეტილება # B10067810/3 , 08 ივლისი 2010წ, სს „სილქნეტის“ წერილი №636/01-8, 12.07.2010წ.)

კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის №605/9 გადაწყვეტილების თანახმად, საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ინტერნეტის ავტონომიური ქსელის მფლობელი ოპერატორი, ჩაითვალა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ. კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირი ვალდებულია, უზრუნველყოს საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან და მათ რესურსებთან შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული დაშვებით დანახარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით სხვა მსურველი ოპერატორებისათვის გაფართოებული ურთიერთჩართვის პირდაპირი ან არაპირდაპირი მიწოდება. ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებელი კონკრეტული ოპერატორის საკუთარი საკომუნიკაციო ქსელის რესურსებთან (მათ შორის განთავსებულ ინტერნეტ-გვერდებთან) ხელმისაწვდომობის საუკეთესო პირობების, მათ შორის საკომუნიკაციო მომსახურების ხარისხისა და გადაცემის სიჩქარის უზრუნველყოფა, აგრეთვე, ამ ინტერნეტ-ტრაფიკის შეუფერხებლად და მოთხოვნილი სიმძლავრით, ასევე ხარისხით გადაცემა, შესაძლებელია მხოლოდ ავტონომიური ინტერნეტ-ქსელის მფლობელი ავტორიზებული პირის მიერ. კომისია უთითებს "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის შესაბამისად ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, ინტერნეტის მომსახურების მიწოდების საბითუმო მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული წილის გაზომვისათვის პირველად კრიტერიუმად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისთვის შერჩეული ინტერნეტის საბითუმო მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთული და თავისუფალი სიმძლავრეები ან ფუნქციონალური რესურსები რეზერვების გათვალისწინებით, რადგან გაფართოებული ურთიერთჩართვის წერტილში (ან ადგილობრივი მომსახურების ზონაში დაფუძნებულ წერტილებში) ინტერნეტ-ქსელის მფლობელი კონკრეტული ავტორიზებული პირი ფლობს და აკონტროლებს საკუთარი ქსელის ელექტრონული საკომუნიკაციო რესურსების და სიმძლავრეების სრულ სპექტრს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კომისიამ ჩათვალა, რომ საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ინტერნეტის ავტონომიური ქსელის მფლობელი ოპერატორი, საკუთარი ქსელის გაფართოებული ურთიერთჩართვის წერტილებში, ფლობს მნიშვნელოვან საბაზრო უპირატესობას - ფლობს და სრულად აკონტროლებს გაფართოებული ურთიერთჩართვის სიმძლავრეებს (ფლობს სიმძლავრეების 100%-ან ფარდობით საბაზრო წილს).

"ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევისა და ანალიზის შესახებ" კომისიის 2008 წლის 17 ოქტომბრის №605/9 კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, შპს "კავკასუს ონლაინს" და სს "საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას", დამატებით, სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულების ფარგლებში, დაუდგინდათ გაფართოებული ურთიერთჩართვისთვის ზედა ზღვრული ტარიფი 5000 (ხუთი ათასი) ლარი ერთ გბიტ/წამზე თვეში, დღგ-ს გარეშე.

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ მიმდინარე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის წარმოდგენა კომისიის მიერ მოეთხოვა ორ ავტორიზებულ პირს - სს "სილქნეტს" და შპს "კავკასუს ონლაინს".

**ა) სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის აღწერა:**

გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მიზნებისათვის სს "სილქნეტის" ძირითადი საშუალებებიდან გამოიყო ქსელის ის ტექნიკური მოწყობილობები და სატელეკომუნიკაციო ფართი, რომელიც უშუალოდ ემსახურება გაფართოებულ ურთიერთჩართვას.

გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაში მონაწილე ქსელის ტექნიკური მოწყობილობის ორი ერთეულისთვის (Juniper MX960, Cisco 4506-E) დათვლილ იქნა დაგეგმილი გამტარუნარიანობის სიმძლავრე (გგბტ/წმ) და კონკრეტულად გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მისაწოდებლად გამოყოფილი პორტების მოცულობა (გგბტ/წმ). გაანგარიშების საფუძველზე მიღებული იქნა გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მიკუთვნების პროცენტი (იხ. ქვემოთ ცხრილი#5.)

**ცხრილი N 5**

**2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ადგილობრივ ინტერნეტ ოპერატორებზე გამოყოფილი პორტის სიმძლავრეების ჯამური მოცულობა**

| ქსელური მოწყობილობა | დაგეგმილი მოცულობა (გგბტ/წმ) | გაფართოებული ურთიერთჩართვისთვის (გგბტ.წმ) | გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მიკუთვნების% |
|---------------------|------------------------------|---|--|
| Juniper MX960       | 320                          | 20  |  |
| Cisco 4506-E        | 96                           | 17  |  |
| <b>სულ</b>          | <b>416</b>                   | <b>37</b>                                 | <b>9%</b>  |

ცხრილი N5-ში მიღებული გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მიკუთვნების პროცენტი (9%) გამოყენებულია მომსახურებაზე შემდეგი ხარჯების მისაკუთვნებლად:

- ა) ელექტროენერჯისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯი;
- ბ) ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი;
- გ) კაპიტალის ღირებულება.

გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მთლიანი ხარჯები დაჯგუფებულია ოთხ ძირითად კატეგორიად:

- ა) საოპერაციო ხარჯები;
- ბ) ზედნადები ხარჯები;
- გ) ცვეთა და ამორტიზაცია;
- დ) კაპიტალის ღირებულება.

**1. საოპერაციო ხარჯები**

შრომის ანაზღაურების დანახარჯები – სს „სილქნეტის“ სამტატო განრიგის სტრუქტურული ერთეულებიდან გამოიყო უშუალოდ გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე პასუხისმგებელი სამსახური (განყოფილება). აღნიშნული სამსახურიდან მოხდა იმ თანამშრომელთა რაოდენობის და დახარჯული დროის იდენტიფიცირება, რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებელი არიან გაფართოებული ურთიერთჩართვის მოსახურების ტექნიკურ უზრუნველყოფაზე. მოცემულ მომსახურებაზე გამოყოფილ იქნა 1 თანამშრომლის 8 სამუშაო საათი თვეში, რაც შეადგენს საერთო ხარჯების 5 %-ს (8\*21,5 (სამუშაო დღეები თვეში = 172), აღნიშნული თანამშრომლის 2012 წლის 9 თვის მთლიანი სახელფასო დანახარჯიდან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებას მიეკუთვნა ხელფასის შესაბამისი წილი (302 ლარი=58,500 ლარი /9თვე/(8საათი/172საათი).

**ცხრილი N 6**

**ხელფასის ხარჯის გაანგარიშება ( 2012 წლის 9 თვის მონაცემები)**

| განყოფილება/სამსახური                           | განყოფილებაში სულ თანამშრომელთა რაოდენობა | მომსახურებაზე გამოყოფილ თანამშრომელთა რაოდენობა | განაწილების % | მომსახურებაზე მიკუთვნება, ლარი |
|---|---|---|---------------|--------------------------------|
| თბილისი მონაცემთა გადაცემის მართვის განყოფილება | 5   | 1   | 5%            | 302                            |



ელექტროენერჯის დანახარჯების გაანგარიშებისათვის აღებული იქნა ქსელის ტექნიკური მოწყობილობის ორი ერთეულისთვის ფაქტიური დატვირთვის პროცენტული მაჩვენებელი და ამ მოწყობილობებისთვის მომუშავე კონდიციონერების და დენის გარდამქმნელის შესაბამისი სიმძლავრე.

ელექტრო ენერჯის დანახარჯების გაანგარიშება შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

ა) აღებული იქნა კონდიციონერის სიმძლავრე (100,000 BTU(British Termal Unit) და ელ . ენერჯის გარდამქმნელის საპასპორტო მონაცემები 52 კვ/სთ;

ბ) გათვალისწინებული იქნა ტექნიკური მოწყობილობების Juniper MX960-ის (1,400 W) და Cisco 4506-E (700 W) ფაქტიური დატვირთვა;

გ) აღნიშნული მოწყობილობების დატვირთვა გადაყვანილი იქნა W-დან BTU-ებში შემდეგი ფორმულის მეშვეობით:  $P(BTU/hr) = 3.412142 \times P(W)$ ;

დ) გადაყვანის შედეგად მიღებული იქნა შესაბამისი გაგრილების პროცენტული მაჩვენებელი მთლიანი კონდიციონერის სიმძლავრიდან ( Juniper MX960= $3.412142 \times 1,400/100,000=4.8\%$ , Cisco 4506-E=  $3.412142 \times 700/100,000=2\%$ )

ე) გაგრილების ხარჯის დასათვლელად, კონდიციონერის სიმძლავრე, რომელიც მოცემულია BTU-ებში გადაყვანილი იქნა KWh-ში შემდეგი ფორმულის საშუალებით:  $E(kWh) = 0.00029307107017 \times E(BTU)$ ;

Juniper MX960= $100,000 \times 0.00029307107017 \times 4.8\%=1.4 \times 0.14$  (ტარიფი დღეს-ს გარეშე) $\times 30 \times 24=137$

Cisco4506-E= $100,000 \times 0.00029307107017 \times 2\%=0.7 \times 0.14$  (ტარიფი დღეს-ს გარეშე) $\times 30 \times 24=68$

ვ) მოწყობილობების ფაქტიური დატვირთვის შეფარდებით ელ.ენერჯის გამმართველის სიმძლავრესთან მიღებული იქნა ელ. ენერჯის ხარჯის პროცენტული მაჩვენებელი.

Juniper MX960= $1,400/1000/52 \times 52=1.4 \times 0.14 \times 30 \times 24=137$

Cisco 4506-E= $700/1000/52 \times 52=0.7 \times 0.14 \times 30 \times 24=68$

მიღებული ელ.ენერჯის ხარჯიდან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებას მიეკუთვნა გამოყოფილი პორტების შესაბამისი წილობრივი მოცულობის მიხედვით განაწილენული ელექტროენერჯის დანახარჯი.

**ცხრილი N 7**

**ელექტროენერჯის ხარჯის გაანგარიშება**

| დასახელება    | ელ.ენერჯის ხარჯი % | ელ.ენერჯის ხარჯი ლარი | მომსახურებაზე მიკუთვნება ლარი |
|---------------|--------------------|-----------------------|-------------------------------|
| Juniper MX960 | 7%                 | 273                   | 25                            |
| Cisco 4506-E  | 4%                 | 137                   | 12                            |
| სულ           |                    | 410                   | 37                            |

ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯი წარმოადგენს ქსელის ტექნიკური მოწყობილობის ორი ერთეულისთვის გაწეული პროფესიული მომსახურების დანახარჯებს; ამ დანახარჯებიდან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მიკუთვნების პროცენტის მეშვეობით (ცხრილი N1) გაანგარიშებულ იქნა მომსახურებაზე მისაკუთვნებელი ხარჯის მოცულობა. 2012 წლის 9 თვის მონაცემების მიხედვით ასეთი მომსახურების საშუალო თვიური ხარჯი შეადგენდა 147 ლარს, საიდანაც 9% - (13 ლარი) მიეკუთვნა გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებას.

**2. ზედნადები ხარჯები**

ზედნადები ხარჯები შედგება დაცვის, ოფისის დალაგება-დასუფთავების, საოფისე და საკომუნიკაციო ხარჯებიგან და, ასევე, გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებისთვის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯებისგან. დაცვისა და დალაგება-დასუფთავების ხარჯი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებას მიეკუთვნა უშუალოდ ამ მომსახურებისთვის გამოყოფილი ფართის პროცენტული წილის მიხედვით.

დაცვა, დალაგება-დასუფთავების ზედნადები ხარჯების განაწილების აღწერა.

ა) ქსელის ტექნიკური მოწყობილობები განლაგებულია სტანდარტულ 42U რეკში, მისი ზომებია 0.6x0.9=0.5კვ.მ; კონდიციონერისა და დენის გამმართველის მიერ დაკავებული ფართი დაახლოებით ტოლია სტანდარტული

რეკის ზომის, შესაბამისად გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებისთვის განსაზღვრული სატელეკომუნიკაციო ფართი შეადგენს 1.5 კვ.მ-ს (0.5x3), რაც წარმოადგენს მთლიანი შენობის ფართის (5,214 კვ.მ) 0.029%-ს;

ბ) დაცვის მომსახურების ყოველთვიური ღირებულება დღე-ს გარეშე შეადგენს 38,975 ლარს, რაც ჯამში ითვალისწინებს 72 დაცვის თანამშრომლის მომსახურებას. ზემოთ აღნიშნულ შენობას ემსახურება დაცვის 16 თანამშრომელი, მათი შესაბამისი თვიური ხარჯი გაანგარიშებით შეადგენს 8,661 ლარს (38,975/72x16). შესაბამისად გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებას მიეკუთვნა  $8,661/5,214 \times 1.5 \times 9\% = 0.22$  ლარი;

გ) 2012 წლის ფაქტიური მონაცემებით ოფისის ყოველთვიური დასუფთავების ხარჯი შეადგენს 58,087 ლარს. სატელეკომუნიკაციო ფართის დასუფთავების ხარჯი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მთლიან დანახარჯებში შესაბამისად შეადგენს 1.49 ლარს [ $58,087 \text{ ლარი} \times 0.029\%$  (ფართის წილი მთლიან შენობაში)  $\times 9\%$  (მიკუთვნების პროცენტი)];

ადმინისტრაციული ზედნადები ხარჯის მიკუთვნების აღწერა:

ადმინისტრაციული პერსონალიდან მოხდა იმ ოთხი თანამშრომლის იდენტიფიცირება, რომლებიც ემსახურებიან გაფართოებულ ურთიერთჩართვას. ოთხი თანამშრომლის მიერ დახარჯული სამუშაო საათების რაოდენობამ თვეში შეადგინა 31 კაც-საათი ( $6\% = 31/21.5 \times 8 \times 4$ ), გაანგარიშების შედეგად მომსახურებაზე მისაკუთვნებელი ხარჯის ოდენობამ შეადგენა 678 ლარი.

საოფისე მასალებისა და კომუნიკაციის ხარჯები მომსახურებას მიეკუთვნა უშუალოდ მომსახურებაზე იდენტიფიცირებული ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის რაოდენობის და მათ მიერ ამ მომსახურებაზე დახარჯული დროის პროპორციული წილების მიხედვით.

**ცხრილი N 8**

ზედნადები ხარჯების შემაჯამებელი ცხრილი, (2012 წლის 9 თვის მონაცემები)

| ზედნადები ხარჯის შინაარსი     | 2012 9თვის საშუალო თვიური ხარჯი, ლარი |
|-------------------------------|---------------------------------------|
| დაცვის ხარჯები                | 0.22                                  |
| დალაგება/დასუფთავება          | 1.49                                  |
| საოფისე მასალების ხარჯი       | 2.01                                  |
| სატელეფონო ხარჯები            | 4.81                                  |
| ადმინისტრაციული ხელფასის წილი | 678.14                                |
| <b>სულ</b>                    | <b>686.68</b>                         |

**3. ცვეთა და ამორტიზაცია**

კომპანიის ძირითადი საშუალებებიდან გამოყოფილ იქნა გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების უზრუნველყოფაში მონაწილე შემდეგი ძირითადი საშუალებების ელემენტები (იხ. ცხრილი N9), შესაბამისად ამ ძირითადი საშუალებებისთვის დაანგარიშებული იქნა ცვეთის ხარჯი.

**ცხრილი N 9**

ძირითადი საშუალებების ძირითადი ელემენტები

|  |
|--|
| Juniper MX960  |
| Cisco 4506-E   |
| საკომუნიკაციო ოთახი – ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქუჩა # 95 |
| კონდინციონერი/STULZ/პრეცენზიული                              |
| დგარი/emerson/ps481000-5-100                                 |

| დასახელება                              | რაოდენობა | ღირებულება     | ნარჩენი ღირებულება |
|---|-----------|----------------|--------------------|
| კვების მოდული/cisco/PWR-C45-1400DC-P    | 2         | 2 801          | 2 604              |
| კვების მოდული/cisco/PWR-MX960-4100-DC-S | 4         | 3 120          | 2 777              |
| ოპტიკური მოდული/cisco/GLC-LH-SM-G       | 2         | 1 591          | 1 573              |
| ოპტიკური მოდული/cisco/GLC-ZX-SM-C       | 1         | 353            | 353                |
| ოპტიკური მოდული/cisco/SFCT-5686Z        | 1         | 100            | 89                 |
| ოპტიკური მოდული/cisco/SFP-10G-BX10-D    | 1         | 40             | 26                 |
| ოპტიკური მოდული/cisco/X2-10GB-LR        | 2         | 6 001          | 5 581              |
| ოპტიკური მოდული/cisco/XFP-10G-ER        | 1         | 3 051          | 2 838              |
| ოპტიკური მოდული/cisco/XFP-10G-LR        | 2         | 5 779          | 5 534              |
| ოპტიკური მოდული/ცისკო/XFP-10GB-LR       | 16        | 43 973         | 43 282             |
| პლატა/cisco/MIC-3D-4XGE-XFP             | 8         | 56 664         | 56 664             |
| პლატა/cisco/WS-X45-SUP6-E               | 1         | 15 501         | 15 275             |
| პლატა/cisco/WS-X4606-X2-E               | 1         | 10 392         | 10 271             |
| პლატა/cisco/WS-X4624-SFP-E              | 2         | 27 560         | 25 550             |
| პლატა/cisco/WS-X4648-RJ45-E             | 1         | 3 785          | 3 509              |
| პლატა/X-MPC2-3D                         | 4         | 86 424         | 86 136             |
| სვიჩი/კატალისტი/WS-C4506-E              | 1         | 3 806          | 3 140              |
| შასი/ჯუნისპერი/MX960                    | 1         | 34 201         | 34 201             |
| <b>სულ</b>                              |           | <b>305 142</b> | <b>299 403</b>     |

ცხრილი N 9-ში მოცემული ძირითადი საშუალებების აპარატურული ნაწილის, მოწყობილობებისა და შენობის (კომუნიკაციის ოთახის წილი მთლიან შენობაში) ნარჩენი ღირებულება და შესაბამისი პერიოდის ცვეთის ხარჯი:

|                              | 2012 9 თვე         |              |
|------------------------------|--------------------|--------------|
|                              | ნარჩენი ღირებულება | ცვეთის ხარჯი |
| აპარატურა                    | 299 403            | 2 567        |
| შენობის წილი მთლიან ფართობში | 992                | 214          |
| აღჭურვილობა                  | 416                | 150          |
| <b>სულ</b>                   | <b>300 811</b>     | <b>2 931</b> |

#### 4. კაპიტალის ღირებულება

კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი (WACC) განგარიშებულ იქნა კომისის 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილების მიხედვით.

ცხრილი N 10

კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთის განგარიშება

|   |       |
|---|-------|
| ბეტა  | 1.15  |
| 182 დღიანისაზნაზნოვალდებულება (2011 წლისაუქციონი)               | 9.20  |
| Rm -დებულებისმიხედვითდარგისმომგებიანობისგანაკვეთი 2011 წლისთვის | 11.70 |
| Re-საკუთარიკაპიტალისმომგებიანობისწლიურიგანაკვეთი                | 12%   |
| მოგებისგადასახადისგანაკვეთი                                     | 15%   |
| სასესხოკაპიტალისსაშუალოშეწონილიწლიურიგანაკვეთი                  | 13%   |
| საკუთარიკაპიტალისოდენობა %                                      | 88%   |

|  |            |
|--|------------|
| სასესხოკაპიტალისოდენობა %  | 12%        |
| <b>WACC (კაპიტალისღირებულებისსაშუალოშეწონილიწლიურიგანაკვეთი)</b> | <b>12%</b> |

ცხრილი N 11-ში მოცემულია 2012 წლის 9 თვის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების შემაჯამებელი ციფრები:

**ცხრილი N11**

გაფართოებული ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების შემაჯამებელი ცხრილი

| ხარჯის შინაარსი               | ლარი         |
|-------------------------------|--------------|
| შრომისანაზღაურების ხარჯები    | 302          |
| ელექტროენერჯისხარჯი           | 36           |
| ტექნიკურიმხარდაჭერისხარჯები   | 13           |
| ზედნადებიხარჯები              | 687          |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b> | <b>1,039</b> |
| ცვეთა და ამორტიზაცია          | 29           |
| კაპიტალის ღირებულება          | <b>361</b>   |
| <b>სულ ხარჯები</b>            | <b>1,428</b> |
| 1 გიგაბიტ/წმ-ისღირებულება     | 39           |

2012 წლის 30 სექტემბრის (9 თვის) ფაქტიური ხარჯების და ტრაფიკის გათვალისწინებით გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯები წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით, შეადგენს 39 ლარს 1 გგბტ/წმ-ზე.

**ბ) შპს „კავკასუს ონლაინს“ მიერ წარმოდგენილი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მოდელის აღწერა**

შპს „კავკასუს ონლაინში“ გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების უზრუნველსაყოფად გამოიყენება შემდეგი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები:

1. სატელეკომუნიკაციო ფართი;
2. ქსელის მოწყობილობები;
3. შრომითი რესურსები.

ზემოთ მოყვანილი რესურსების გამოყენების შესაბამისად, გაფართოებული ურთიერთჩართვის 1 გგბტ/წმ-ით მიერთების დანახარჯები შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. სატელეკომუნიკაციო ფართის დანახარჯები;
2. შრომითი რესურსების დანახარჯები (ხელფასი);
3. ზედნადები ანუ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები;
4. ქსელის და ასევე სხვა დამხმარე მოწყობილობების ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი და გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების უზრუნველსაყოფად განხორცილებული ინვეტიციების უკუგება.

**1. სატელეკომუნიკაციო ფართის დანახარჯები**

სატელეკომუნიკაციო ოთახის ხარჯები შედგება ორი კომპონენტისგან: ა) კაპიტალური დანახარჯებისგან და ბ) ფართის შენახვის მიმდინარე ხარჯებისგან. ვინაიდან, შპს „კავკასუს ონლაინს“ საოფისე და საწარმოო ფართი გრძელვადიანი იჯარით აქვს ნაქირავები, ამიტომ კაპიტალურ ხარჯს წარმოადგენს იჯარის თანხა, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში „საოფისე ფართის იჯარის“ ანგარიშზე. სრული საოფისე ფართის 3,520 მ<sup>2</sup> იჯარის თანხა 2012 წლის 9 თვის პერიოდისთვის შეადგენდა **856,143** ლარს. მოცემული ფართიდან (3520მ<sup>2</sup>) სატელეკომუნიკაციო ოთახზე არის გამოყოფილი 395 მ<sup>2</sup>, რომელიც ემსახურება ქვემოთ ჩამოთვლილი მომსახურებების მიწოდების უზრუნველყოფას:

1. საკუთარი აბონენტებისთვის ინტერნეტის მიწოდების მომსახურება;
2. საბითუმო და სატრანზიტო გლობალური ინტერნეტით მომსახურება;
3. ჰოსტინგის და კოლოკაციის მომსახურება;

4. გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურება.

საოფისე ფართის იჯარა გადანაწილებულია ზემოთ ჩამოთვლილ მომსახურების სახეებზე, ცხრილი N 12-ში მოცემული მონაცემების საფუძველზე.

**ცხრილი N 12**

**იჯარის ხარჯის განაწილება (2012 წლის 9 თვის მონაცემები)**

| სულ სერვისებზე გადანაწილებული                                | 3,520 მ2     | 100 %         | 856,143.35 ლარი      |
|--|--------------|---------------|----------------------|
| 1. ჰოსტინგის და კოლოკაციის მომსახურება;                      | 375 მ2       | 10,65%        | 91,179.27 ლარი       |
| 2. გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურება.                  | <i>10 მ2</i> | <i>0,284%</i> | <i>2,432.23 ლარი</i> |
| 3. საკუთარი აბონენტებისთვის ინტერნეტის მიწოდების მომსახურება | 3,125 მ2     | 88,78%        | 760,169.68 ლარი      |
| 4. საბითუმო და სატრანზიტო გლობალური ინტერნეტით მომსახურება   | 10 მ2        | 0,284%        | 2,432.23 ლარი        |

ცხრილი N12-ში მოცემული განაწილების პროცენტული მაჩვენებელი გამოყენებული იქნა ასევე ყველა იმ სხვა საოპერაციო ხარჯების გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მიკუთვნების გაანგარიშებაში, რომლებიც დაკავშირებულია სატელეკომუნიკაციო ფართის შენახვასა და მოვლასთან.

**ცხრილი N 13**

ოფისის შენახვის ხარჯების მიკუთვნება გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე (2012 წლის 9 თვის მონაცემები)

| №  | ოფისის შენახვის ხარჯები           | ხარჯი             | წილი         | თანხა ლარში        |
|----|-----------------------------------|-------------------|--------------|--------------------|
| 1. | ოფისის დასუფთავება, წყალი და გაზი | <i>107,438.79</i> | <i>0,28%</i> | <i>300.83 ლარი</i> |
| 2. | ოფისის ელექტროენერგია             | <i>189,920.18</i> | <i>0,28%</i> | <i>531.78 ლარი</i> |
| 3. | ოფისის დაცვის დანახარჯი           | <i>351.56</i>     | <i>0,28%</i> | <i>0.98 ლარი</i>   |
| 4. | ოფისის ჰიგიენური საშუალებები      | <i>4,246.33</i>   | <i>0,28%</i> | <i>11.89 ლარი</i>  |

ცხრილი N14-ში მოცემულია სატელეკომუნიკაციო ოთახის დანახარჯების გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე გადანაწილების მონაცემები:

**ცხრილი N 14**

|    |  |                 |         |               |
|----|--|-----------------|---------|---------------|
| 1. | იჯარის ხარჯი (კაპიტალური დანახარჯი, ცხრილი №12)            | 10 მ2           | 0,284%  | 2,432.23 ლარი |
| 2. | ოფისის შენახვის საოპერაციო ხარჯები (ცხრილი №13)            | 301,956.86 ლარი | 0,284 % | 857.83 ლარი   |
|    | სულ სატელეკომუნიკაციო ფართის დანახარჯები (2012 წლის 9 თვე) |                 |         | 3,290.06 ლარი |
|    | საშუალო ფაქტიური თვიური დანახარჯი                          |                 |         | 365.56 ლარი   |

**2. შრომითი რესურსების დანახარჯები**

პერსონალის ანაზღაურების ანუ ხელფასის დანახარჯებში ჩართულია უშუალოდ იმ თანამშრომლების შრომის ანაზღაურების დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების ვირტუალურ ქსელის, სასერვეროს და კოლოკაციის ფართის მოვლას და მონიტორინგს. შპს „კავკასუს ონლაინის“ საშტატო განრიგის მიხედვით აღნიშნულ საქმიანობას ემსახურება თვრამეტი თანამშრომელი.

სახელფასო ხარჯის განაწილება (2012 წლის 9 თვის მონაცემები)

| ქვედანაყოფის დასახელება          | პერსონალის რაოდენობა | დარიცხული ანაზღაურება | განაწილება | თანხა ლარი     |
|----------------------------------|----------------------|-----------------------|------------|----------------|
| ქსელის მართვის ცენტრის სამსახური | 18                   | 397,938.55 ლარი       | 2/18       | 44,215.39 ლარი |

როგორც განაწილების ცხრილი N 16-შია მოცემული, ქსელის მართვის სამსახურის მთლიანი სახელფასო ხარჯებიდან, გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებას მიეკუთვნა სამტატო ორი ერთეულის პროპორციული წილის მიხედვით გაანგარიშებული ხარჯები:

ხელფასის ხარჯის განაწილება

|   |                |
|---|----------------|
| შრომის ანაზღაურების ხარჯი მომსახურებაზე მიკუთვნება (2012 წლის 9 თვე)  | 44,215.39 ლარი |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი მომსახურებაზე მიკუთვნება, ერთი თვის საშუალო | 4,912.82 ლარი  |

**3. ზედნადები ანუ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

საერთო ადმინისტრაციული და მმართველობითი ხარჯები გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებას მიეკუთვნა კომპანიის სამტატო ერთეულის პროპორციული წილის საფუძველზე.

| ხარჯის კატეგორია                  | თანხა          | განაწილება |
|-----------------------------------|----------------|------------|
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 3,232,578 ლარი | 2/743      |

2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, შპს „კავკასუს ონლაინის“ მთლიანი სამტატო განრიგი შედგება 743 ერთეულისაგან. 2012 წლის 9 თვის ფაქტიური მონაცემების განაწილების შედეგად გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებას მიეკუთვნა 966.82 ლარი.

$$3,232,578 \cdot (2/743) = 8,701.42$$

ადმინისტრაციული და მმართველობითი ზედნადები ხარჯების საშუალო თვიური თანხა შეადგენს - 1,213.77 ლარს.

$$8,701.42 \text{ ლარი} / 9 \text{ თვე} = 966,82 \text{ ლარი.}$$

**4. ქსელის და ასევე სხვა დამხმარე მოწყობილობების ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი და გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ინვესტიციების უკუგება**

გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების კალკულაციის მიზნებისათვის კომპანიამ ქსელის ტექნიკური მოწყობილობების ცვეთა და განხორციელებული ინვესტიციების უკუგება გაიანგარიშა მუდმივი ანუიტეტის (Constant Annuity) მეთოდით.

$$\text{მუდმივი ანუიტეტი} = \text{აქტივის ღირებულება} \cdot \text{WACC} / (1 - (1 + \text{WACC})^{-n})$$

სადაც, n აქტივის მომსახურების ვადაა;

გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების გაანგარიშებაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ იმ ძირითადმა საშუალებებმა და შესაბამისმა პროგრამულმა უზრუნველყოფამ, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან.

2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შპს „კავკასუს ონლაინში“ გაფართოებული ურთიერთჩართვა აქვს ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელ ადგილობრივ ცხრამეტ ოპერატორთან. მომსახურების უზრუნველსაყოფად კომპანიაში გამოიყენება შემდეგი ქსელის ტიპის ტექნიკური მოწყობილობები:

- Cisco ASR-90010;
- SFP;XFP;
- Nexus 5548;
- Cisco 3600;

ზემოაღნიშნული მოწყობილობების ჯამური გამტარუნარიანობა შეადგენს 800 გგბტ/წმ-ს. მოცემული სამძლავრის 50% შპს „კავკასუს ონლაინმა“ ჩათვლა სარეზერვო სიმძლავრედ. გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების ტარიფის გაანგარიშებაში მონაწილეობა მიიღო 800 გგბტ/წმ-ის

ნახევარმა - 400 გბტ/წმ-მა; შესაბამისად, მთლიანი ტექნიკური მოწყობილობების გამტარუნარიანობის მოცულობაში გაფართოებული ურთიერთჩართვის მოცულობის პროპორციული წილი სარეზერვო მოცულობის გათვალისწინებით შეადგენს:

$$45,2 \text{ გბტ/წმ} / (800 \text{ გბტ/წმ} * 50\%) = 11,3\%$$

გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაში მონაწილე ტექნიკური მოწყობილობების შექმნის პირვანდელი ღირებულების ჯამი შეადგენს - 1,828,058.13 ლარს.

ცხრილი N 17

**ძირითადი საშუალებების სია**

| დასახელება |  | რაოდენობა | შეძენის ღირებულება | ნარჩენი ღირებულება |
|------------|--|-----------|--------------------|--------------------|
| ASR9k      | ASR-90010-DC /CON-SNT-A9K0400  | 2         | 34 087             | 28 970             |
| ASR9k      | A9K-04.00 - "Cisco IOS XR IP/MPLS Core Software"                     | 2         | 42 257             | 35 913             |
| ASR9k      | A9K-8T/4-L - "8-Port 10GE DX Low Queue Line card, requires XFPs"     | 6         | 388 765            | 330 397            |
| ASR9k      | A9K-8T-L - "8Port 10 GE Low Queue Line Card, Requires XFPs"          | 4         | 404 847            | 344 064            |
| ASR9k      | A9K-AIP-LIC-B - "L3VPN Line Card License, for use with -B or-L Line" | 10        | 340 737            | 289 580            |
| ASR9k      | CON-SNT-A9K8TL - "SMARTNET 8X5XNBD 8-Port 10GE Low Queue"            | 4         | 29 576             | 25 136             |
| ASR9k      | CON-SNT-A9K8T4L - "SMARTNET 8X5XNBD 8-Port 10GE DX low"              | 6         | 27 579             | 23 439             |
| ASR9k      | CON-SNT-A9KRSP8G - "SMARTNET 8X5XNBD Route Switch Processor"         | 2         | 9 593              | 8 152              |
| ASR9k      | A9K-RSP-8G - "Route Switch Processor 8G Memory"                      | 2         | 135 223            | 114 921            |
| ASR9k      | ASR-90010-DC /CON-SNT-A9K0400  | 2         | 34 087             | 28 970             |
| ASR9k      | ASR-9010-FAN - "ASR-9010 Fan Tray"                                   | 4         | 21 692             | 18 435             |
| ASR9k      | CON-SNT-ASR9010D - "SMARTNET 8X5XNBD ASR-910 AC Chassis"             | 2         | 2 419              | 2 056              |
| XFP        | XFP-10GLR-OC192SR== "Multirate XFP module for 10GBASE-LR and"        | 8         | 35 437             | 33 048             |
| SFP        | SFP-10G-LR== "10GBASE-LR SFP Module Compatible"                      | 8         | 40 207             | 37 497             |
| Nexus5548  | N5548UP-4N2248TR-Nexus 5548UP/4xN2248TP/20xSFP-10G-SR                | 2         | 94 794             | 86 899             |
| Nexus5548  | N55-D160L3 Nexus 5548 Layer 3 Daughter Card                          | 2         | 9 295              | 8 520              |
| Nexus5548  | N55-LAN1K9-Layer 3 License for Nexus 5500 Platform                   | 2         | 18 586             | 17 038             |
| Cisco 3600 | ME-3600X-24FS-M/ME3600X Ethernet Access Switch 24 GE SFP+2 0GE       | 4         | 98 812             | 86 521             |
| Cisco 3600 | ME-3600X-24FS-M / S360XVK9T-12252EY / ME3600X-I                      | 4         | 60 065             | 56 017             |
| <b>სულ</b> |  |           | <b>1 828 058</b>   | <b>1 575 573</b>   |

ზემოაღნიშნული ძირითადი საშუალებების ღირებულება გადანაწილდა გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე ამ ძირითადი საშუალებების 5 წლიანი მომსახურების ვადის თანაბრად გადანაწილების ანუიტეტის პრინციპის მიხედვით.

ტექნიკური მოწყობილობების ცვეთის და განხორციელებული ინვესტიციების უკუგების გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ:

$$\text{დაზანდებული თანხა} * WACC / [1 - (1 + WACC)^{-5}] = 1,828,058 * 12.8\% / [1 - (1 + 12.8\%)^{-5}] = 517,764$$

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების WACC-ის გაანგარიშება მოცემულია ცხრილი N7- ში.

გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე მისაკუთვნილებელი თვიური თანხა შეადგენს 43,146.98 ლარს (517,764/12). მოცემული ხარჯის გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაში გათვალისწინება მოხდა ადგილობრივი ინტერნეტ მიმწოდებლებისთვის გამოყოფილი პორტის სიმძლავრეების მოცულობის (ცხრილი N19) მთლიანი ტექნიკური მოწყობილობების გამტარუნარიანობის მოცულობაში პროპორციული წილის საფუძველზე, რომელიც გაანგარიშებით შეადგენს 11,3%-ს (45,2 გბტ/წმ / (800გბტ/წმ\*50%).

ცხრილი N 18

**კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება WACC**

|  |        |
|--|--------|
| Beta (ბეტა)  | 1.17   |
| 182 დღიანის სახაზინოვალდებულება (2011 წლის აუქციონი) | 9.20 % |

|   |                |
|---|----------------|
| Rm -დებულების მიხედვით დარგის მომგებიანობის განაკვეთი 2011 წლისთვის | 11.7 %         |
| <b>Re-საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის წლიურიგანაკვეთი</b>          | <b>12.12 %</b> |
| საკუთარიკაპიტალიმომგებიანობისწლიურიგანაკვეთი                        | 12%            |
| სასესხოკაპიტალისსაშუალოშეწონილიწლიურიგანაკვეთი                      | 15%            |
| საკუთარიკაპიტალისწილიმთლიანკაპიტალში                                | 14%            |
| სასესხოკაპიტალისწილიმთლიანკაპიტალში                                 | 86%            |
| მოგებისგადასახადისგანაკვეთი   | 15%            |
| <b>WACC(საშუალოდ შეწონილი კაპიტალის ღირებულება)</b>                 | <b>12.8%</b>   |

ცხრილი N 19-ში მოცემულია ადგილობრივი ინტერნეტ მიმწოდებლებისთვის გამოყოფილი პორტის სიმძლავრეების ჯამური მოცულობა ინტერნეტის ჩამოტვირთვის და ატვირთვის მიხედვით. აღნიშული მოცულობის პროპორციული წილი მთლიანი ტექნიკური მოწყობილობების გამტარუნარიანობის მოცულობაში, გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაზე გადასანაწილებლად.

**ცხრილი N 19**

2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ლოკალურ პროვაიდერებზე გამოყოფილი პორტის სიმძლავრეების მოცულობის ჯამური ცხრილი.

| სიმძლავრე | Upload    | Download  | სულ ტრაფიკი |
|-----------|-----------|-----------|-------------|
| გბტ/წმ    | 32.40     | 12.80     | 45.20       |
| მბტ/წმ    | 33,176.58 | 13,106.18 | 46,282.76   |

ცხრილი N 20-ში მოცემულია 2012 წლის 9 თვის მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების შემაჯამებელი ციფრები:

**ცხრილი N 20**

გაფართოებული ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების შემაჯამებელი ცხრილი

|   |                   |             |                        |
|---|-------------------|-------------|------------------------|
| 1.სატელეკომუნიკაციო ფართის დანახარჯები              | 365.56<br>ლარი    | 45.20 გბ.წმ | 8.09 ლარი              |
| 2. შრომითი რესურსების დანახარჯები                   | 4,912.82<br>ლარი  | 45.20 გბ.წმ | 108.69<br>ლარი         |
| 3. ზედნადები ანუ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები. | 966,82<br>ლარი    | 45.20 გბ.წმ | 21.39 ლარი             |
| 4. ცვეთის ხარჯი და ინვესტიციიდან უკუგება            | 43,146.98<br>ლარი | 400 გბ.წმ   | 107.86<br>ლარი         |
| <b>სულ 1 გბ.წმ ტარიფი დღგ- გარეშე</b>               |                   |             | <b>246.03<br/>ლარი</b> |

2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით (9 თვის) ფაქტიური ხარჯების და ტრაფიკის გათვალისწინებით გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯები წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით, შეადგენს 246.03 ლარს - 1 გბტ/წმ-ზე.

კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების გაანგარიშებაში გამოყენებული ფინანსური/საბუღალტრო ინფორმაცია არ არის აუდირებული, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, შესაბამისად კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მოსაზრება წარმოდგენილი ინფორმაციის სამართლიან და უტყუარ წარმოდგენაზე ეყრდნობა მხოლოდ კომპანიის პასუხისმგებლობას. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:



ა) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებული „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების“ მიხედვით, გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების მომზადებას და ამ გაანგარიშების სამართლიან წარმოდგენას;

ბ) გაანგარიშებაში გამოყენებული ბუღალტრული/ფინანსური ინფორმაციის სამართლიან და უტყუარ წარმოდგენას, რაც გულისხმობს იმას, რომ წარმოდგენილი გაანგარიშების თითოეული ელემენტი (შემოსავალი, ხარჯი, აქტივი და ა.შ.) სწორად ასახავს ამ ელემენტის შინაარსს;

გ) გაანგარიშებაში გამოყენებული ტექნიკური მონაცემების სისწორეს;

დ) გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაში გამოყენებული ქსელის ტექნიკური საშუალებების (ძირითადი საშუალებების) სამართლიან და უტყუარ წარმოდგენას;

ე) გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაში გამოყენებული შრომითი რესურსების სამართლიან და უტყუარ წარმოდგენას.

შპს „კავკასუს ონლაინს“ და სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ დანახარჯებში მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს:

ა) შრომის ანაზღაურების ხარჯები;

ბ) ძირითადი საშუალებების ღირებულება.

შრომის ანაზღაურების ხარჯები - შპს „კავკასუს ონლაინში“ გაფართოებული ურთიერთჩართვას მომსახურების უზრუნველსაყოფად გამოყოფილია ორი თანამშრომელი სრული დატვირთვით, მაშინ, როდესაც სს „სილქნეტში“ გაფართოებული ურთიერთჩართვას მომსახურების უზრუნველსაყოფად გამოყოფილია ერთი თანამშრომლის 8 საათი სამუშაო დრო ერთ თვეში (8 კაც/საათი თვეში).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მიმართა შპს „კავკასუს ონლაინს“ (წერილი N 08/47213, 06/03/2013 წ.) წარმოდგინა გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების გაანგარიშებაში გამოყენებული საშტატო განრიგის და ხელფასის განაკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „კავკასუს ონლაინსგან“ არ არის წარმოდგენილი საკმარისი დოკუმენტაცია მოცემული საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით.

ძირითადი საშუალებების ღირებულება - შპს „კავკასუს ონლაინში“ გაფართოებული ურთიერთჩართვას მომსახურების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია 1,828,058 ლარის ძირითადი საშუალებები, მაშინ, როდესაც სს „სილქნეტში“ გაფართოებული ურთიერთჩართვას მომსახურების უზრუნველსაყოფად გამოყოფილია 299,403 ლარის ძირითადი საშუალებები.

ამასთან დაკავშირებით, კომისიამ მიმართა შპს „კავკასუს ონლაინს“ (წერილი N 08/47213, 06/03/2013 წ.) წარმოდგინა გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების გაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი საშუალებების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები. 2013 წლის 13 მარტის N 01-02/1533 წერილით შპს „კავკასუს ონლაინმა“ წარმოადგინა ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს გაანგარიშებაში წარმოდგენილი მოწყობილობების რაოდენობას და ღირებულებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოპოვებული დოკუმენტაცია არ არის იმის საკმარისი მტკიცებულება, რომ მოცემული მოწყობილობები გამოიყენება გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურებაში იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მოცემულია გაფართოებული ურთიერთჩართვის მომსახურების გაანგარიშებაში. აღნიშნული მონაცემების სამართლიანობაზე და უტყუარობაზე პასუხისმგებელია თავად კომპანია.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის ვებ გვერდზე ინტერნეტში გამოქვეყნდა დოკუმენტი - შპს „კავკასუს ონლაინს“ და სს „სილქნეტის“ მიერ მომზადებული გაანგარიშების მოდელების შედარებითი ანალიზის შესახებ“. აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა/მოსაზრება კომისიაში წარმოდგენილი არ ყოფილა.

## **2. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება**

კომისიაში არსებული ინფორმაციის მიხედვით, გლობალური ინტერნეტის შესყიდვას და გადაყიდვას ეწევიან შემდეგი კომპანიები:

ა) სს „სილქნეტი“;

ბ) შპს „კავკასუს ონლაინ“;

გ) შპს „რკინიგზის ტელეკომი“;

- დ) შპს „დელტა კომი“;
- ე) შპს „სისტემ ნეტი“;
- ვ) შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით, ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიებიდან კომისიამ გამოითხოვა 2011 წლის და 2012 წლის 9 თვის შემდეგი ინფორმაცია:

- ა) საბითუმო გლობალური ინტერნეტის შესყიდვის შესახებ;
- ბ) გლობალური ინტერნეტის ტრაფიკის შესახებ;
- გ) გლობალური ინტერნეტ ტრაფიკის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების შესახებ;
- დ) საბითუმო გლობალური ინტერნეტ მომსახურების მიწოდების მოქმედი სატარიფო გეგმების შესახებ.

სს „სილქნეტმა“ ინფორმაცია წარმოადგინა 2012 წლის 12 დეკემბრის N 4139/05-8 წერილით. წარმოდგენილი ინფორმაცია დააზუსტა 2013 წლის 6 თებერვლის N 4862/05-8 წერილით.

შპს „კავკასუს ონლაინმა“ ინფორმაცია წარმოადგინა 2012 წლის 14 დეკემბრის N 01-02/1203 წერილით. წარმოდგენილი ინფორმაცია დააზუსტა 2012 წლის 27 დეკემბრის N 01-02/1250 წერილით. შპს „კავკასუს ონლაინს“ ინფორმაცია საბითუმო ინტერნეტ მომსახურების მიწოდების მოქმედი სატარიფო გეგმების შესახებ არ წარმოუდგენია.

შპს „რკინიგზის ტელეკომმა“ ინფორმაცია წარმოადგინა 2012 წლის 11 დეკემბრის N 121211-2 წერილით. წარმოდგენილი ინფორმაცია დააზუსტა 2013 წლის 5 თებერვალს N 130205-2 წერილით.

შპს „დელტა კომმა“ ინფორმაცია წარმოადგინა 2012 წლის 13 დეკემბრის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი N 6/7126-12). წარმოდგენილი ინფორმაცია დააზუსტა 2013 წლის 31 იანვრის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის ნომერი N 6/602-13). ამავე წერილში შპს „დელტა კომი“ აღნიშნავს, რომ შპს „დელტა კომი“ 2011 წლიდან ინტერნეტ ტრაფიკს იღებს სატესტო რეჟიმში ყოველგვარი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობის გარეშე, საანალიზო პერიოდში სხვა ავტორიზებულ პირებზე გლობალური ინტერნეტის გადაყიდვა ხორციელდებოდა სამ ავტორიზებულ პირზე, აქედან შპს „ანეტისთვის“ გლობალური ინტერნეტის მიწოდება შეწყდა 2012 წლის დეკემბრიდან, ხოლო შპს „დელტა ნეტისთვის“ გლობალური ინტერნეტის მიწოდება ხორციელდებოდა სატესტო რეჟიმში; შპს „ჯინეტზე“ მიყიდული გლობალური ინტერნეტის შესახებ ინფორმაცია შპს „დელტა კომის“ მიერ წარმოდგენილია N 6/602-13, 31/01/2013 წ. წერილის თანდართულ ცხრილებში, რომელიც წარმოადგენს სატესტო რეჟიმში შესყიდული გლობალური ინტერნეტის გადაყიდვას ყოველთვიური ჯამური თანხით 1,695 ლარი 0,2 გგბტ/წმ-ზე. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, შპს „დელტა კომის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინება არ მომხდარა ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან წვდომის მომსახურების მიწოდების ანალიზურ ცხრილებში.

შპს „სისტემ ნეტმა“ ჯამური ინფორმაცია წარმოადგინა 2012 წლის 27 დეკემბრის N143 წერილით. 2013 წლის 15 თებერვლის N32 წერილით შპს „სისტემ ნეტმა“ წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია გლობალური ინტერნეტ მომსახურების მიწოდების მოქმედი სატარიფო გეგმების შესახებ; ამავე წერილში შპს „სისტემ ნეტმა“ აღნიშნა, რომ 2012 წლის საბოლოო მონაცემების გადამოწმების საფუძველზე, ადრე წარმოდგენილ ცხრილებში მოხდა მონაცემების კორექტირება, თუმცა ადრე გამოგზავნილი ჯამური ინფორმაციის კორექტირებული ვარიანტი შპს „სისტემ ნეტს“ კომისიისთვის არ წარმოუდგენია, ამიტომ კვლევისა და ანალიზის მიზნებისათვის კომისიამ იხელმძღვანელა 2013 წლის 15 თებერვლის N32 წერილით გამოგზავნილი დეტალური ცხრილებით.

შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტმა“ ინფორმაცია წარმოადგინა 2013 წლის 18 იანვარს N ED-13/15 წერილით. წარმოდგენილი ინფორმაცია დააზუსტა 2013 წლის 13 თებერვლის N ED-13/69 წერილით.

წინამდებარე კვლევისა და ანალიზის მიზნებისთვის შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“, შპს „სისტემ ნეტი“, შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“, შპს „ბოლნისის ახალი ქსელები“ განხილულ იქნა, როგორც ურთიერთდამოკიდებული (აფილირებული) პირები შემდეგი გარემოებების გამო:

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3<sup>33</sup>-ე ქვეპუნქტის თანახმად, ურთიერთდამოკიდებულება არის ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობა, რომელსაც შეუძლია უშუალო გავლენა მოახდინოს მათ შორის გარიგებების პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ასეთ განსაკუთრებულ ურთიერთობებს განეკუთვნება, კერძოდ, ურთიერთობები, რომელთა დროსაც: პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები),

თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ერთი პირი თანამდებობრივი მდგომარეობით ექვემდებარება მეორე პირს ან ერთ პირს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირი; პირები არიან ფილიალი საწარმოები ან პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი; პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს; პირები ნათესავები არიან (ამ კანონის მიზნებისთვის ნათესავებად ითვლებიან: ოჯახის წევრები, პირდაპირი აღმავალი და დამავალი შტოს ნათესავები, გერი, და და ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები);

შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ 2010 წლის 1 სექტემბრის N ED-10/545 წერილის თანახმად, შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ 50% წილის მფლობელი შპს „სისტემ ნეტის“ წილის მფლობელ ფიზიკურ პირებს: ფრიდონ ინჯიას, ლალი რუხაის, ხათუნა ინჯიას და ილია ინჯიას შორის არსებობს ნათესაური კავშირი.

შპს „ახალი ქსელების“ 2011 წლის 24 ნოემბრის N 653 წერილის თანახმად, შპს „ახალი ქსელების“ დამფუძნებლებს მარინე იაშვილს და ავთანდილ იაშვილს შორის არსებობს ნათესაური კავშირი.

ფრიდონ ინჯია, ლალი რუხაია, ხათუნა ინჯია და ილია ინჯია შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტში“ პირდაპირ ფლობენ წილის 25,30%-ს, ფრიდონ ინჯია, ლალი რუხაია, ხათუნა ინჯია და ილია ინჯია შპს „სისტემ ნეტში“ პირდაპირ ფლობენ წილის 46,75%-ს, შპს „სისტემ ნეტი“ შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტში“ პირდაპირ ფლობს წილის 50%-ს, შესაბამისად ფრიდონ ინჯია, ლალი რუხაია, ხათუნა ინჯია და ილია ინჯია შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტში“ არაპირდაპირ ფლობენ შპს „სისტემ ნეტის“ მფლობელობაში არსებული შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ წილის 46,75%-ს, რაც შეადგენს წილის 23,37%-ს ( $46,75\% \times 50\% = 23,37\%$ ). სულ ფრიდონ ინჯია, ლალი რუხაია, ხათუნა ინჯია და ილია ინჯია შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტში“ ფლობენ 25,30% + 23,37% = 48,67%-ს.

ავთანდილ იაშვილი და მარინე იაშვილი შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტში“ პირდაპირ ფლობენ წილის 14,30%-ს, ავთანდილ იაშვილი და მარინე იაშვილი შპს „სისტემ ნეტში“ პირდაპირ ფლობენ 29,35%-ს, შპს „სისტემ ნეტი“ შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტში“ პირდაპირ ფლობს წილის 50%-ს, შესაბამისად ავთანდილ იაშვილი და მარინე იაშვილი შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტში“ არაპირდაპირ ფლობენ შპს „სისტემ ნეტის“ მფლობელობაში არსებული შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ წილის 29,35%-ს, რაც შეადგენს შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტში“ არაპირდაპირი წილის 14,67%-ს ( $29,35\% \times 50\% = 14,67\%$ ). სულ ავთანდილ იაშვილი და მარინე იაშვილი შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტში“ ფლობენ 14,30% + 14,67% = 28,97%-ს.

ავთანდილ იაშვილი და მარინე იაშვილი შპს „ახალ ქსელებში“ პირდაპირ ფლობენ წილის 33,43%-ს, ავთანდილ იაშვილი და მარინე იაშვილი შპს „სისტემ ნეტში“ ფლობენ წილის 29,35%-ს, შპს „სისტემნეტი“ შპს „ახალ ქსელებში“ პირდაპირ ფლობს წილის 10%-ს, შესაბამისად ავთანდილ იაშვილი და მარინე იაშვილი შპს „ახალ ქსელებში“ არაპირდაპირ ფლობენ შპს „სისტემ ნეტის“ მფლობელობაში არსებული შპს „ახალ ქსელების“ წილის 29,35%-ს, რაც შეადგენს შპს „ახალ ქსელებში“ არაპირდაპირი წილის 2,94 %-ს ( $29,35\% \times 10\%$ ). სულ ავთანდილ იაშვილი და მარინე იაშვილი შპს „ახალ ქსელებში“ ფლობენ 29,35% + 2,94% = 32,29%-ს.

ფრიდონ ინჯია, ლალი რუხაია, ხათუნა ინჯია და ილია ინჯია შპს „სისტემნეტში“ პირდაპირ ფლობენ 46,75%-ს, შპს „სისტემ ნეტი“ შპს „ახალ ქსელებში“ პირდაპირ ფლობს წილის 10%-ს, შესაბამისად ფრიდონ ინჯია, ლალი რუხაია, ხათუნა ინჯია და ილია ინჯია შპს „ახალ ქსელებში“ არაპირდაპირ ფლობენ შპს „სისტემ ნეტის“ ნეტის“ მფლობელობაში არსებული შპს „ახალ ქსელების“ წილის 46,75%-ს, რაც შეადგენს შპს „ახალ ქსელების“ არაპირდაპირი წილის 4,67%-ს.

შპს „ახალი ქსელების“ წილი შპს „ახტელში“ 100%-ს შეადგენს. შესაბამისად, ფრიდონ ინჯიას, ლალი რუხაიას, ხათუნა ინჯიას, ილია ინჯიას, ავთანდილ იაშვილის და მარინე იაშვილის წილი შპს „ახტელში“ იგივეა, რაც მათი წილები შპს „ახალი ქსელებში“.

ავთანდილ იაშვილი შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციაში“ პირდაპირ ფლობს 25%-ს, ილია ინჯია შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციაში“ პირდაპირ ფლობს წილის 25%-ს.


ავთანდილ იაშვილი შპს „ბოლნისის ახალ ქსელებში“ პირდაპირ ფლობს წილის 28%-ს, ფრიდონ ინჯია შპს „ბოლნისის ახალ ქსელებში“ პირდაპირ ფლობს წილის 30%-ს.

ზემოაღნიშნული კომპანიების (შპს „ახალი ქსელები“, შპს „ახტელი“, შპს „სისტემ ნეტი“ და შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“) მესაკუთრეთა წილების ანალიზიდან ირკვევა, რომ ფრიდონ ინჯია, ლალი რუხაია, ხათუნა ინჯია, ილია ინჯია, ავთანდილ იაშვილი და მარინე იაშვილი წარმოადგენენ მოცემულ კომპანიების მეწილეებს და მათი ჯამური წილი ამ კომპანიებში 20%-ზე მეტია. შესაბამისად, მოცემული კომპანიები „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3<sup>33</sup> პუნქტის თანახმად, წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებს.

**გლობალური ინტერნეტის შექმნა**

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით 2011 წლის და 2012 წლის 9 თვის საანალიზო/საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანიების მიერ შესყიდული გლობალური ინტერნეტის საშუალო თვიური მოცულობა შეადგენს 67,39 გგბტ/წმ-ს. ამასთან, მოცემულ პერიოდში შესყიდული ინტერნეტის მინიმალური მოცულობა შეადგენდა 52,25 გგბტ/წმ-ს, ხოლო მაქსიმალური მოცულობა 106,25 გგბტ/წმ-ს, შესყიდული ინტერნეტის მოცულობა მოცემული პერიოდის განმავლობაში გაიზარდა 75%-ით.

**გრაფიკი N1**



მოცემული პერიოდის განმავლობაში შესყიდული გლობალური ინტერნეტის მოცულობის ზრდასთან ერთად შემცირდა შესყიდული ინტერნეტის დანახარჯები ერთ გგბტ/წმ-ზე ლარებში. შესყიდული გლობალური ინტერნეტის მოცულობის 75%-იანმა ზრდამ (60,87 გგბტ/წმ-დან 106,75 გგბტ/წმ-მდე), გამოიწვია გლობალური ინტერნეტის შესყიდვის ღირებულების 236%-იანი შემცირება (42,416 ლარიდან 12,619 ლარამდე - ერთ გგბტ/წმ-ზე).

**გრაფიკი N2**



**შენიშვნა:** რადგან შპს „სისტემნეტი“ გლობალურ ინტერნეტს ყიდულობს შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტისგან“, ხოლო შპს „რკინიგზის ტელეკომი“ გლობალურ ინტერნეტს ყიდულობს შპს „კავკასუს ონლაინისგან“, ასევე, ერთი კომპანიის მიერ გაყიდული ინტერნეტის მოცულობა და საერთო ღირებულება იგივეა, რაც მეორე კომპანიაში გლობალური ინტერნეტის შექმნის მონაცემები, ამიტომ მონაცემების გაორმაგების თავიდან აცილების მიზნით შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-

ფოპტნეტის“ და შპს „სისტემნეტის“, ასევე შპს „რკინიგზის ტელეკომის“ და შპს „კავკასუს ონლაინის“ მონაცემები გლობალური ინტერნეტის საერთო მოცულობის შესყიდვის და საერთო ღირებულების გაანგარიშების მიზნებისათვის არ შეიკრება.

კომპანიების მიერ შეძენილი გლობალური ინტერნეტის შემოტანა ხორციელდება შემდეგი მაგისტრალური მონაკვეთების საშუალებით:

ცხრილი N21

| კომპანია  | მაგისტრალური მონაკვეთი                             |
|---|--|
| შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ | მოსკოვი-ფოთი,ბაქო-აზერბაიჯანი/საქართველოს საზღვარი |
| სს „სილქნეტი“   | თბილსი-ფრანკფურტი                                  |
| შპს „კავკასუს ონლაინი“                                  | სოფია-ვარნა-ფოთი-თბილსი-სადახლო-წითელი ხიდი        |

კომპანიების მიერ შეძენილი გლობალური ინტერნეტის მოცულობები თვეების მიხედვით დინამიკაში და საერთო მოცულობაში კომპანიების წილი პროცენტულ მაჩვენებელში წარმოდგენილია N22 ცხრილში:

ცხრილი N22

|                         | სილქნეტი |            | კავკასუს ონლაინი |            | რკინიგზის ტელეკომი |           | სისტემნეტი/ფოპტნეტი* |            | სულ    |
|-------------------------|----------|------------|------------------|------------|--------------------|-----------|----------------------|------------|--------|
|                         | გბტ/წმ   | %          | გბტ/წმ           | %          | გბტ/წმ             | %         | გბტ/წმ               | %          |        |
| January-11              | 26,00    | 43%        | 30,00            | 49%        | 2,67               | 4%        | 2,20                 | 4%         | 60,87  |
| February-11             | 25,00    | 42%        | 30,00            | 50%        | 2,67               | 4%        | 2,20                 | 4%         | 59,87  |
| March-11                | 23,75    | 40%        | 30,00            | 51%        | 1,67               | 3%        | 3,34                 | 6%         | 58,76  |
| April-11                | 21,25    | 38%        | 30,00            | 53%        | 1,67               | 3%        | 3,34                 | 6%         | 56,26  |
| May-11                  | 21,25    | 38%        | 30               | 53%        | 1,665              | 3%        | 3,34                 | 6%         | 56,26  |
| June-11                 | 16,25    | 31%        | 30               | 57%        | 1,045              | 2%        | 5                    | 10%        | 52,30  |
| July-11                 | 16,25    | 31%        | 30               | 57%        | 1,045              | 2%        | 5                    | 10%        | 52,30  |
| August-11               | 16,25    | 31%        | 30               | 57%        | 1,045              | 2%        | 5                    | 10%        | 52,30  |
| September-11            | 16,25    | 31%        | 30               | 57%        | 1,1                | 2%        | 5                    | 10%        | 52,35  |
| October-11              | 16,25    | 31%        | 30               | 57%        | 1,1                | 2%        | 5                    | 10%        | 52,35  |
| November-11             | 16,25    | 31%        | 30               | 57%        | 1,1                | 2%        | 5                    | 10%        | 52,35  |
| December-11             | 16,25    | 26%        | 40               | 64%        | 1,1                | 2%        | 5                    | 8%         | 62,35  |
| January-12              | 16,25    | 24%        | 40               | 59%        | 1,1                | 2%        | 10                   | 15%        | 67,35  |
| February-12             | 16,25    | 23%        | 40               | 58%        | 1,1                | 2%        | 12                   | 17%        | 69,35  |
| March-12                | 16,25    | 24%        | 40               | 59%        | 0                  | 0%        | 12                   | 18%        | 68,25  |
| April-12                | 16,25    | 24%        | 40               | 59%        | 0                  | 0%        | 12                   | 18%        | 68,25  |
| May-12                  | 16,25    | 24%        | 40               | 59%        | 0                  | 0%        | 12                   | 18%        | 68,25  |
| June-12                 | 26,25    | 27%        | 60               | 61%        | 0                  | 0%        | 12                   | 12%        | 98,25  |
| July-12                 | 27,25    | 29%        | 60               | 63%        | 0                  | 0%        | 8                    | 8%         | 95,25  |
| August-12               | 27,25    | 26%        | 70               | 66%        | 0                  | 0%        | 9                    | 8%         | 106,25 |
| September-12            | 27,25    | 26%        | 70               | 66%        | 0                  | 0%        | 9                    | 8%         | 106,25 |
| <b>პერიოდის საშუალო</b> |          | <b>30%</b> |                  | <b>58%</b> |                    | <b>2%</b> |                      | <b>10%</b> |        |

შენიშვნა:

ა) კომპანიების საანალიზო პერიოდის საშუალო მონაცემების პროცენტული წილები საერთო შესყიდული გლობალური ინტერნეტის მოცულობაში გაანგარიშებულია კომპანიების მიერ წარმოდგენილი 2011 წლის და 2012 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდის მონაცემების მიხედვით.

ბ) 2011 წლის იანვრიდან 2011 წლის მაისის ჩათვლით გლობალური ინტერნეტის პირდაპირი მყიდველი იყო შპს „სისტემ ნეტი“. ამ პერიოდში შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“

გლობალური ინტერნეტის შესყიდვას არ აწარმოებდა; 2011 წლის ივნისიდან 2012 წლის სექტემბრის ჩათვლით გლობალური ინტერნეტის პირდაპირი მყიდველი იყო შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“, შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ გლობალურ ინტერნეტს გადაყიდვას ახორციელებდა შპს „სისტემ ნეტი“.

გლობალური ინტერნეტის შესყიდვა 2011 წლის და 2012 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდისთვის კომპანიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით:

- ა) სს „სილქნეტი“ 30 %
- ბ) შპს „კავკასუს ონლაინი“ 58 %
- გ) შპს „რკინიგზის ტელეკომი“ 2 %
- დ) შპს „სისტემ ნეტი“ 10 %

კომპანიების წილები სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდულ გლობალურ ინტერნეტში, ასევე ამ კომპანიების წილები საქართველოში ინტერნეტ საქმიანობისთვის გამოყენებული გლობალური ინტერნეტის მთლიან მოცულობაში მოცემულია ცხრილებში (N23, N24 და N25).

**ცხრილი N23**

საბაზრო წილის ოდენობა საქართველოში ინტერნეტ საქმიანობისთვის გამოყენებული გლობალური ინტერნეტის მონაცემების მიხედვით

|                         | სილქნეტი |               | კავკასუს ონლაინი |               | რკინიგზის ტელეკომი |           | სისტემნეტი/ფოპტნეტი* |              | სულ გგბტ/წმ |
|-------------------------|----------|---------------|------------------|---------------|--------------------|-----------|----------------------|--------------|-------------|
|                         | გგბტ/წმ  | %             | გგბტ/წმ          | %             | გგბტ/წმ            | %         | გგბტ/წმ              | %            |             |
| January-11              | 18,00    | 42%           | 20,87            | 49%           | 1,67               | 4%        | 2,20                 | 5%           | 42,73       |
| February-11             | 17,00    | 47%           | 15,45            | 43%           | 1,67               | 5%        | 2,20                 | 6%           | 36,31       |
| March-11                | 16,25    | 46%           | 14,86            | 42%           | 0,67               | 2%        | 3,34                 | 10%          | 35,12       |
| April-11                | 13,75    | 42%           | 14,86            | 46%           | 0,67               | 2%        | 3,34                 | 10%          | 32,62       |
| May-11                  | 13,75    | 41%           | 15,46            | 47%           | 0,67               | 2%        | 3,34                 | 10%          | 33,22       |
| June-11                 | 8,75     | 30%           | 15,21            | 52%           | 0,55               | 2%        | 5,00                 | 17%          | 29,51       |
| July-11                 | 8,75     | 30%           | 15,21            | 52%           | 0,55               | 2%        | 5,00                 | 17%          | 29,51       |
| August-11               | 8,75     | 30%           | 15,06            | 52%           | 0,35               | 1%        | 5,00                 | 17%          | 29,15       |
| September-11            | 13,75    | 41%           | 14,76            | 44%           | 0,30               | 1%        | 5,00                 | 15%          | 33,81       |
| October-11              | 12,75    | 38%           | 15,55            | 46%           | 0,30               | 1%        | 5,00                 | 15%          | 33,60       |
| November-11             | 12,75    | 39%           | 14,58            | 45%           | 0,10               | 0%        | 5,00                 | 15%          | 32,43       |
| December-11             | 13,75    | 33%           | 22,86            | 55%           | 0,10               | 0%        | 5,00                 | 12%          | 41,71       |
| January-12              | 16,25    | 32%           | 22,71            | 45%           | 1,10               | 2%        | 10,00                | 20%          | 50,06       |
| February-12             | 16,25    | 28%           | 29,65            | 50%           | 1,10               | 2%        | 12,00                | 20%          | 59,00       |
| March-12                | 16,25    | 28%           | 29,91            | 51%           | 0,00               | 0%        | 12,00                | 21%          | 58,16       |
| April-12                | 16,25    | 35%           | 18,08            | 39%           | 0,00               | 0%        | 12,00                | 26%          | 46,33       |
| May-12                  | 16,25    | 34%           | 19,77            | 41%           | 0,00               | 0%        | 12,00                | 25%          | 48,02       |
| June-12                 | 26,25    | 46%           | 19,30            | 34%           | 0,00               | 0%        | 12,00                | 21%          | 57,55       |
| July-12                 | 27,25    | 50%           | 19,31            | 35%           | 0,00               | 0%        | 8,00                 | 15%          | 54,56       |
| August-12               | 26,25    | 43%           | 25,13            | 42%           | 0,00               | 0%        | 9,00                 | 15%          | 60,38       |
| September-12            | 26,25    | 43%           | 25,48            | 42%           | 0,00               | 0%        | 9,00                 | 15%          | 60,73       |
| <b>პერიოდის საშუალო</b> |          | <b>38,01%</b> |                  | <b>45,24%</b> |                    | <b>1%</b> |                      | <b>15,5%</b> |             |

**შენიშვნა:** 2011 წლის იანვრიდან 2011 წლის მაისის ჩათვლით გლობალური ინტერნეტის პირდაპირი მყიდველი იყო შპს „სისტემ ნეტი“, ამ პერიოდში შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ გლობალური ინტერნეტის შესყიდვას არ აწარმოებდა; 2011 წლის ივნისიდან 2012 წლის სექტემბრის ჩათვლით გლობალური ინტერნეტის პირდაპირი მყიდველი იყო შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“, შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ გლობალურ ინტერნეტს გადაყიდვას ახორციელებდა შპს „სისტემ ნეტი“.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი არის ავტორიზებული პირის ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა ჯგუფის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი განისაზღვრება მის მიერ მიღებული შემოსავლების, ბოლო მომხმარებელთა ან აბონენტთა რაოდენობის ან გარკვეულ პერიოდში მიწოდებული მომსახურების ჯამური მოცულობის (ტრაფიკის) წილობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთული და თავისუფალი სიმძლავრეების ან ფუნქციონალური რესურსების

რეზერვების გათვალისწინებით. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მახასიათებლების გათვალისწინებით კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული წილის გაზომვისა და სათანადო ძირითადი კრიტერიუმის გამოყენების შესახებ.

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან წვდომის მომსახურების მიწოდების ბაზრის სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნებისათვის მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულ იქნა ავტორიზებული პირების მიერ საქართველოში ინტერნეტ საქმიანობისთვის გამოყენებული გლობალური ინტერნეტის მოხმარების წილობრივი მონაცემები (იხ. ცხრილი N23).

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სამი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 80 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა.

მოცემული ბაზრის სეგმენტის კონკურენტუნარიანობის კვლევისა და ანალიზის ჩატარების შედეგად კომისიის აზრით შემდეგი სამი ავტორიზებული პირი უნდა განისაზღვროს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირად:

|   |         |
|---|---------|
| 1) სს „სილქნეტი“  | 38,01 % |
| 2) შპს „კავკასუს ონლაინი“   | 45,24 % |
| 3) შპს „სისტემ ნეტი“/ შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოკტნეტი“ | 15,50 % |

**ცხრილი N24**

საბაზრო წილი სხვა ავტორიზებულ პირებზე გაყიდული გლობალური ინტერნეტის მონაცემების მიხედვით

|                         | სილქნეტი |              | კავკასუს ონლაინი |              | რკინიგზის ტელეკომი |             | სისტემნეტი/ ფოპტნეტი* |              | სულ     |
|-------------------------|----------|--------------|------------------|--------------|--------------------|-------------|-----------------------|--------------|---------|
|                         | გაბტ/წმ  | %            | გაბტ/წმ          | %            | გაბტ/წმ            | %           | გაბტ/წმ               | %            | გაბტ/წმ |
| January-11              | 0,26     | 5%           | 4,20             | 83%          | 0,24               | 5%          | 0,37                  | 7%           | 5,06    |
| February-11             | 0,27     | 5%           | 4,20             | 82%          | 0,25               | 5%          | 0,42                  | 8%           | 5,13    |
| March-11                | 0,28     | 5%           | 4,20             | 81%          | 0,25               | 5%          | 0,45                  | 9%           | 5,17    |
| April-11                | 0,28     | 10%          | 1,70             | 63%          | 0,25               | 9%          | 0,45                  | 17%          | 2,68    |
| May-11                  | 0,29     | 11%          | 1,69             | 64%          | 0,22               | 8%          | 0,45                  | 17%          | 2,65    |
| June-11                 | 0,23     | 11%          | 1,19             | 55%          | 0,26               | 12%         | 0,47                  | 22%          | 2,14    |
| July-11                 | 0,40     | 19%          | 1,09             | 52%          | 0,09               | 5%          | 0,51                  | 24%          | 2,08    |
| August-11               | 0,43     | 20%          | 1,09             | 51%          | 0,12               | 6%          | 0,51                  | 24%          | 2,14    |
| September-11            | 0,45     | 18%          | 1,34             | 54%          | 0,16               | 6%          | 0,53                  | 21%          | 2,47    |
| October-11              | 0,47     | 18%          | 1,34             | 52%          | 0,20               | 8%          | 0,58                  | 22%          | 2,58    |
| November-11             | 0,49     | 19%          | 1,34             | 52%          | 0,19               | 7%          | 0,58                  | 22%          | 2,60    |
| December-11             | 0,49     | 19%          | 1,34             | 52%          | 0,20               | 8%          | 0,53                  | 21%          | 2,56    |
| January-12              | 0,52     | 20%          | 1,34             | 51%          | 0,21               | 8%          | 0,57                  | 22%          | 2,63    |
| February-12             | 0,54     | 19%          | 1,34             | 47%          | 0,21               | 7%          | 0,77                  | 27%          | 2,85    |
| March-12                | 0,54     | 25%          | 0,66             | 30%          | 0,21               | 10%         | 0,76                  | 35%          | 2,16    |
| April-12                | 0,55     | 25%          | 0,65             | 30%          | 0,24               | 11%         | 0,75                  | 34%          | 2,19    |
| May-12                  | 0,58     | 25%          | 0,65             | 29%          | 0,30               | 13%         | 0,74                  | 33%          | 2,27    |
| June-12                 | 0,56     | 25%          | 0,65             | 29%          | 0,29               | 13%         | 0,75                  | 33%          | 2,24    |
| July-12                 | 0,56     | 23%          | 0,65             | 27%          | 0,27               | 11%         | 0,92                  | 38%          | 2,39    |
| August-12               | 0,60     | 24%          | 0,65             | 26%          | 0,24               | 10%         | 1,02                  | 41%          | 2,51    |
| September-12            | 0,62     | 24%          | 0,65             | 25%          | 0,24               | 9%          | 1,05                  | 41%          | 2,56    |
| <b>პერიოდის საშუალო</b> |          | <b>17,7%</b> |                  | <b>49,3%</b> |                    | <b>8,3%</b> |                       | <b>24,7%</b> |         |

**შენიშვნა:**

შპს „სისტემ ნეტი“ გლობალური ინტერნეტის გადაყიდვას ახორციელებს ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) კომპანიებზე შპს „ახალ ქსელებზე“, შპს „ახტელზე“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციაზე“ და შპს „ბოლნისის ახალ ქსელებზე“, რომლებიც თავის მხრივ გლობალურ ინტერნეტს აწვდიან საკუთარი ქსელის აბონენტებს; რადგან ამ ანალიზის მიზნებისათვის არც სს „სილქნეტის“ და არც შპს „კავკასუს ონლაინის“ მონაცემები საკუთარ აბონენტებზე გადაყიდულ გლობალური ინტერნეტის მონაცემებს არ ითვალისწინებს, ამიტომ შპს „სისტემ ნეტის“ მონაცემებიდან გამოცალკევებულ იქნა შპს „ახალი ქსელებზე“, შპს „ახტელზე“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციაზე“ და შპს „ბოლნისის ახალ ქსელებზე“ გადაყიდული გლობალური ინტერნეტის მონაცემები.

**ცხრილი N25**

საბაზრო წილის ოდენობები კომპანიების მიხედვით სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის მონაცემების მიხედვით:



|                         | სილქნეტი |            | კავკასუს ონლაინი |            | რკინიგზის ტელეკომი |           | სისტემნეტი/ ფოპტნეტი* |           | სულ     |
|-------------------------|----------|------------|------------------|------------|--------------------|-----------|-----------------------|-----------|---------|
|                         | გაბტ/წმ  | %          | გაბტ/წმ          | %          | გაბტ/წმ            | %         | გაბტ/წმ               | %         | გაბტ/წმ |
| January-11              | 8,00     | 44%        | 9,13             | 50%        | 1,00               | 6%        | 0,00                  | 0%        | 18,13   |
| February-11             | 8,00     | 34%        | 14,55            | 62%        | 1,00               | 4%        | 0,00                  | 0%        | 23,55   |
| March-11                | 7,50     | 32%        | 15,14            | 64%        | 1,00               | 4%        | 0,00                  | 0%        | 23,64   |
| April-11                | 7,50     | 32%        | 15,14            | 64%        | 1,00               | 4%        | 0,00                  | 0%        | 23,64   |
| May-11                  | 7,50     | 33%        | 14,54            | 63%        | 1,00               | 4%        | 0,00                  | 0%        | 23,04   |
| June-11                 | 7,50     | 33%        | 14,79            | 65%        | 0,50               | 2%        | 0,00                  | 0%        | 22,79   |
| July-11                 | 7,50     | 33%        | 14,79            | 65%        | 0,50               | 2%        | 0,00                  | 0%        | 22,79   |
| August-11               | 7,50     | 32%        | 14,94            | 65%        | 0,70               | 3%        | 0,00                  | 0%        | 23,14   |
| September-11            | 2,50     | 13%        | 15,24            | 82%        | 0,80               | 4%        | 0,00                  | 0%        | 18,54   |
| October-11              | 3,50     | 19%        | 14,45            | 77%        | 0,80               | 4%        | 0,00                  | 0%        | 18,75   |
| November-11             | 3,50     | 18%        | 15,42            | 77%        | 1,00               | 5%        | 0,00                  | 0%        | 19,92   |
| December-11             | 2,50     | 12%        | 17,14            | 83%        | 1,00               | 5%        | 0,00                  | 0%        | 20,64   |
| January-12              | 0,00     | 0%         | 17,29            | 100%       | 0,00               | 0%        | 0,00                  | 0%        | 17,29   |
| February-12             | 0,00     | 0%         | 10,35            | 100%       | 0,00               | 0%        | 0,00                  | 0%        | 10,35   |
| March-12                | 0,00     | 0%         | 10,09            | 100%       | 0,00               | 0%        | 0,00                  | 0%        | 10,09   |
| April-12                | 0,00     | 0%         | 21,92            | 100%       | 0,00               | 0%        | 0,00                  | 0%        | 21,92   |
| May-12                  | 0,00     | 0%         | 20,23            | 100%       | 0,00               | 0%        | 0,00                  | 0%        | 20,23   |
| June-12                 | 0,00     | 0%         | 40,70            | 100%       | 0,00               | 0%        | 0,00                  | 0%        | 40,70   |
| July-12                 | 0,00     | 0%         | 40,69            | 100%       | 0,00               | 0%        | 0,00                  | 0%        | 40,69   |
| August-12               | 1,00     | 2%         | 44,87            | 98%        | 0,00               | 0%        | 0,00                  | 0%        | 45,87   |
| September-12            | 1,00     | 2%         | 44,52            | 98%        | 0,00               | 0%        | 0,00                  | 0%        | 45,52   |
| <b>პერიოდის საშუალო</b> |          | <b>16%</b> |                  | <b>82%</b> |                    | <b>2%</b> |                       | <b>0%</b> |         |

გლობალური ინტერნეტის სხვა ავტორიზებულ პირებზე (მათ შორის სხვა ქვეყნის ოპერატორებზე) მიწოდება

მოცემულ პერიოდში სს „სილქნეტის“, შპს „კავკასუს ონლაინის“ და შპს „სისტემ ნეტის“/ შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ საშუალო თვიური შემოსავალი სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტიდან შეადგენს 1,536,881 ლარს. ანალიზურ პერიოდში სხვა ავტორიზებულ პირებზე გადაყიდული ინტერნეტის მაქიმალური ღირებულება შეადგენდა 2,629,408 ლარს, ხოლო მინიმალური 629, 621 ლარს.

2011 წლის და 2012 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდისთვის სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტიდან შემოსავლებში წილობრივი მონაცემები კომპანიების მიხედვით დინამიკაში წარმოდგენილია ცხრილში N27.

ცხრილი N26

|                         | სილქნეტი |               | კავკასუსს<br>ონლაინი |               | რკინიგზის<br>ტელეკომი |              | სისტემნეტი/<br>ფოპტნეტი* |              | სულ<br>ლარი |
|-------------------------|----------|---------------|----------------------|---------------|-----------------------|--------------|--------------------------|--------------|-------------|
|                         | ლარი     | %             | ლარი                 | %             | ლარი                  | %            | ლარი                     | %            |             |
| January-11              | 706 833  | 29%           | 1 434 124            | 58%           | 238 374               | 10%          | 100 132                  | 4%           | 2 479 463   |
| February-11             | 682 456  | 26%           | 1 613 248            | 61%           | 233 131               | 9%           | 100 572                  | 4%           | 2 629 408   |
| March-11                | 603 782  | 23%           | 1 634 558            | 64%           | 227 958               | 9%           | 104 021                  | 4%           | 2 570 318   |
| April-11                | 585 931  | 27%           | 1 246 790            | 58%           | 223 152               | 10%          | 92 853                   | 4%           | 2 148 726   |
| May-11                  | 595 369  | 28%           | 1 186 200            | 57%           | 221 395               | 11%          | 91 369                   | 4%           | 2 094 333   |
| June-11                 | 589 987  | 31%           | 1 113 300            | 59%           | 102 851               | 5%           | 83 730                   | 4%           | 1 889 867   |
| July-11                 | 605 036  | 32%           | 1 135 661            | 60%           | 67 321                | 4%           | 76 566                   | 4%           | 1 884 584   |
| August-11               | 578 919  | 30%           | 1 198 260            | 62%           | 69 450                | 4%           | 74 621                   | 4%           | 1 921 249   |
| September-11            | 194 475  | 13%           | 1 194 110            | 77%           | 76 118                | 5%           | 78 411                   | 5%           | 1 543 115   |
| October-11              | 234 473  | 16%           | 1 100 400            | 73%           | 80 383                | 5%           | 89 107                   | 6%           | 1 504 363   |
| November-11             | 236 442  | 15%           | 1 119 742            | 73%           | 97 128                | 6%           | 79 589                   | 5%           | 1 532 902   |
| December-11             | 200 268  | 13%           | 1 119 742            | 75%           | 94 441                | 6%           | 78 986                   | 5%           | 1 493 437   |
| January-12              | 65 978   | 6%            | 943 494              | 84%           | 30 280                | 3%           | 78 080                   | 7%           | 1 117 831   |
| February-12             | 71 240   | 9%            | 645 239              | 77%           | 30 281                | 4%           | 85 884                   | 10%          | 832 644     |
| March-12                | 66 633   | 11%           | 444 712              | 71%           | 32 609                | 5%           | 85 666                   | 14%          | 629 621     |
| April-12                | 67 093   | 10%           | 525 806              | 74%           | 30 726                | 4%           | 82 357                   | 12%          | 705 982     |
| May-12                  | 69 879   | 8%            | 736 286              | 80%           | 36 412                | 4%           | 82 306                   | 9%           | 924 883     |
| June-12                 | 68 497   | 6%            | 891 954              | 83%           | 29 106                | 3%           | 83 283                   | 8%           | 1 072 840   |
| July-12                 | 67 819   | 6%            | 853 335              | 80%           | 27 005                | 3%           | 118 761                  | 11%          | 1 066 921   |
| August-12               | 92 891   | 8%            | 903 370              | 80%           | 23 881                | 2%           | 106 937                  | 9%           | 1 127 078   |
| September-12            | 95 761   | 9%            | 903 275              | 82%           | 22 891                | 2%           | 83 003                   | 8%           | 1 104 929   |
| <b>საშუალო შეწონილი</b> |          | <b>20,08%</b> |                      | <b>67,99%</b> |                       | <b>6,18%</b> |                          | <b>5,75%</b> |             |

**შენიშვნა:**

კომპანიების საანალიზო პერიოდის საშუალო მონაცემების პროცენტული წილები საერთო შესყიდული გლობალური ინტერნეტის მოცულობაში გაანგარიშებულია კომპანიების მიერ წარმოდგენილი 2011 წლის და 2012 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდის მონაცემების მიხედვით.

2011 წლის და 2012 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდისთვის სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის მოცულობა კომპანიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში N27.

**ცხრილი N27**


|                         | სილქნეტი |               | კავკასუსის<br>ონლაინი |               | რკინიგზის<br>ტელეკომი |              | სისტემნეტი |              | სულ     |
|-------------------------|----------|---------------|-----------------------|---------------|-----------------------|--------------|------------|--------------|---------|
|                         | გგბტ/წმ  | %             | გგბტ/წმ               | %             | გგბტ/წმ               | %            | გგბტ/წმ    | %            | გგბტ/წმ |
| January-11              | 8,26     | 36%           | 13,33                 | 57%           | 1,24                  | 5%           | 0,37       | 2%           | 23,20   |
| February-11             | 8,27     | 29%           | 18,75                 | 65%           | 1,25                  | 4%           | 0,42       | 1%           | 28,69   |
| March-11                | 7,78     | 27%           | 19,33                 | 67%           | 1,25                  | 4%           | 0,45       | 2%           | 28,81   |
| April-11                | 7,78     | 30%           | 16,83                 | 64%           | 1,25                  | 5%           | 0,45       | 2%           | 26,32   |
| May-11                  | 7,79     | 30%           | 16,23                 | 63%           | 1,22                  | 5%           | 0,45       | 2%           | 25,69   |
| June-11                 | 7,73     | 31%           | 15,97                 | 64%           | 0,76                  | 3%           | 0,47       | 2%           | 24,93   |
| July-11                 | 7,90     | 32%           | 15,87                 | 64%           | 0,59                  | 2%           | 0,51       | 2%           | 24,87   |
| August-11               | 7,93     | 31%           | 16,03                 | 63%           | 0,82                  | 3%           | 0,51       | 2%           | 25,28   |
| September-11            | 2,95     | 14%           | 16,58                 | 79%           | 0,96                  | 5%           | 0,53       | 2%           | 21,01   |
| October-11              | 3,97     | 19%           | 15,79                 | 74%           | 1,00                  | 5%           | 0,58       | 3%           | 21,33   |
| November-11             | 3,99     | 18%           | 16,76                 | 74%           | 1,19                  | 5%           | 0,58       | 3%           | 22,52   |
| December-11             | 2,99     | 13%           | 18,48                 | 80%           | 1,20                  | 5%           | 0,53       | 2%           | 23,20   |
| January-12              | 0,52     | 3%            | 18,63                 | 94%           | 0,21                  | 1%           | 0,57       | 3%           | 19,92   |
| February-12             | 0,54     | 4%            | 11,69                 | 89%           | 0,21                  | 2%           | 0,77       | 6%           | 13,20   |
| March-12                | 0,54     | 4%            | 10,74                 | 88%           | 0,21                  | 2%           | 0,76       | 6%           | 12,25   |
| April-12                | 0,55     | 2%            | 22,57                 | 94%           | 0,24                  | 1%           | 0,75       | 3%           | 24,11   |
| May-12                  | 0,58     | 3%            | 20,88                 | 93%           | 0,30                  | 1%           | 0,74       | 3%           | 22,49   |
| June-12                 | 0,56     | 1%            | 41,35                 | 96%           | 0,29                  | 1%           | 0,75       | 2%           | 42,94   |
| July-12                 | 0,56     | 1%            | 41,34                 | 96%           | 0,27                  | 1%           | 0,92       | 2%           | 43,09   |
| August-12               | 1,60     | 3%            | 45,52                 | 94%           | 0,24                  | 0%           | 1,02       | 2%           | 48,38   |
| September-12            | 1,62     | 3%            | 45,17                 | 94%           | 0,24                  | 0%           | 1,05       | 2%           | 48,08   |
| <b>პერიოდის საშუალო</b> |          | <b>15,90%</b> |                       | <b>78,66%</b> |                       | <b>2,89%</b> |            | <b>2,55%</b> |         |

**შენიშვნა:**

კომპანიების პროცენტული წილები გლობალური ინტერნეტის სხვა ავტორიზებულ პირებზე გადაყიდვის და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდვის საერთო მოცულობებში გაანგარიშებულია, კომპანიების მიერ წარმოდგენილი 2011 წლის და 2012 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდის მონაცემების მარტივი არითმეტიკული საშუალოს მიხედვით.


მოცემულ პერიოდში სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის საშუალო თვიური მოცულობა შეადგენდა 29 გგბტ/წმ-ს, ანალიზურ პერიოდში სხვა ავტორიზებულ პირებზე გაყიდული ინტერნეტის მაქიმალური მოცულობა შეადგენდა 49 გგბტ/წმ-ს, ხოლო მინიმალური 13 გგბტ/წმ-ს.

კომპანიების მიერ სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე მიწოდებული ინტერნეტის არათანაბარზომიერი ტარიფების გამო, კომპანიების წილი გაყიდული გლობალური ინტერნეტის მოცულობაში და გაყიდული ინტერნეტის საერთო შემოსავლებში განსხვავებულია:



ანალიზური პერიოდისთვის შესყდული გლობალური ინტერნეტის ღირებულების, სხვა ავტორიზებულ პირებზე და სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გლობალური ინტერნეტის გადაყიდვის ფასების შედარებითი ანალიზი, თვეების მიხედვით დინამიკაში მოცემული N4 გრაფიკზე.

გრაფიკი N4



მიუხედავად შესყდული გლობალური ინტერნეტის ღირებულების 70%-იანი შემცირებისა, გლობალური ინტერნეტის ფასი სხვა ავტორიზებულ პირებისთვის შემცირდა 50%-ით, ხოლო სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის საშუალო ფასი ამავე პერიოდში შემცირდა 79%-ით, იხილეთ ცხრილები N 28 და N 29.

ცხრილი N28

გლობალური ინტერნეტის ფასების დინამიკა

|                 | სხვა ავტორიზებულ პირებზე გაყიდული გლობალური ინტერნეტის საშუალო ფასი (ლარი გგბტ/წმ-ზე) | სხვა ქვეყნის სატ.კომპანოებზე გაყიდული გლობალური ინტერნეტის საშუალო ფასი (ლარი გგბტ/წმ-ზე) | შესყიდული ინტერნეტის საშუალო ფასი (ლარი გგბტ/წმ-ზე) |
|-----------------|---|---|---|
| January-11      | 164 018   | 91 677  | 42 416  |
| February-11     | 160 368   | 77 156  | 35 657  |
| March-11        | 158 102   | 74 491  | 34 610  |
| April-11        | 175 890   | 70 515  | 29 987  |
| May-11          | 176 839   | 70 129  | 30 007  |
| June-11         | 179 241   | 65 582  | 28 626  |
| July-11         | 152 787   | 66 950  | 28 550  |
| August-11       | 150 820   | 67 218  | 28 273  |
| September-11    | 136 242   | 63 305  | 32 952  |
| October-11      | 136 788   | 59 588  | 30 384  |
| November-11     | 132 163   | 58 079  | 32 798  |
| December-11     | 133 147   | 54 292  | 28 837  |
| January-12      | 131 921   | 42 811  | 29 631  |
| February-12     | 123 831   | 42 702  | 21 431  |
| March-12        | 93 142  | 39 616  | 25 129  |
| April-12        | 90 415  | 21 929  | 18 633  |
| May-12          | 90 921  | 34 167  | 21 422  |
| June-12         | 89 407  | 20 807  | 15 837  |
| July-12         | 94 927  | 19 861  | 14 556  |
| August-12       | 87 692  | 19 254  | 14 819  |
| September-12    | 80 095  | 19 398  | 12 619  |
| <b>ცვლილება</b> | <b>-51%</b>   | <b>-79%</b>   | <b>-70%</b>   |

ცხრილი N29

გლობალური ინტერნეტის ფასების დინამიკა

|              | <b>სხვა ავტორიზებულ პირებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის საშუალო ფასის მეტობა შესყიდული ინტერნეტის საშუალო ფასზე</b> |          | <b>სხვა ქვეყნის კომპანიებზე გადაყიდული გლობალური ინტერნეტის საშუალო ფასის მეტობა შესყიდული ინტერნეტის საშუალო ფასზე</b> |          |
|--------------|---|----------|---|----------|
| January-11   | 3,87  | ჯერ მეტი | 2,16  | ჯერ მეტი |
| February-11  | 4,50  | ჯერ მეტი | 2,16  | ჯერ მეტი |
| March-11     | 4,57  | ჯერ მეტი | 2,15  | ჯერ მეტი |
| April-11     | 5,87  | ჯერ მეტი | 2,35  | ჯერ მეტი |
| May-11       | 5,89  | ჯერ მეტი | 2,34  | ჯერ მეტი |
| June-11      | 6,26  | ჯერ მეტი | 2,29  | ჯერ მეტი |
| July-11      | 5,35  | ჯერ მეტი | 2,35  | ჯერ მეტი |
| August-11    | 5,33  | ჯერ მეტი | 2,38  | ჯერ მეტი |
| September-11 | 4,13  | ჯერ მეტი | 1,92  | ჯერ მეტი |
| October-11   | 4,50  | ჯერ მეტი | 1,96  | ჯერ მეტი |
| November-11  | 4,03  | ჯერ მეტი | 1,77  | ჯერ მეტი |
| December-11  | 4,62  | ჯერ მეტი | 1,88  | ჯერ მეტი |
| January-12   | 4,45  | ჯერ მეტი | 1,44  | ჯერ მეტი |
| February-12  | 5,78  | ჯერ მეტი | 1,99  | ჯერ მეტი |
| March-12     | 3,71  | ჯერ მეტი | 1,58  | ჯერ მეტი |
| April-12     | 4,85  | ჯერ მეტი | 1,18  | ჯერ მეტი |
| May-12       | 4,24  | ჯერ მეტი | 1,59  | ჯერ მეტი |
| June-12      | 5,65  | ჯერ მეტი | 1,31  | ჯერ მეტი |
| July-12      | 6,52  | ჯერ მეტი | 1,36  | ჯერ მეტი |
| August-12    | 5,92  | ჯერ მეტი | 1,30  | ჯერ მეტი |
| September-12 | 6,35  | ჯერ მეტი | 1,54  | ჯერ მეტი |

**შენიშვნა:** საშუალო ფასები გაანგარიშებულია საშუალო შეწონილის მეთოდით (შემოსავლების საერთო მოცულობა გაყოფილი გადაყიდული გლობალური ინტერნეტის საერთო მოცულობაზე).

გლობალური ინტერნეტის მიწოდების ფასების მიმოხილვა კომპანიების მიხედვით:

შპს „რკინიგზის ტელეკომის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ კომპანიის მიერ 2011 წლის 12 თვის მონაცემების მიხედვით ავტორიზებულ პირებზე მიწოდებული ინტერნეტის საშუალო თვიური ღირებულება ერთ გგბიტ/წმ-ზე შეადგენდა 219,461 ლარს, მოცემულ პერიოდში მაქსიმალური ფასი იყო 847,458 ლარი, ხოლო მინიმალური ფასი 85,876 ლარი.

2012 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ავტორიზებულ პირებზე მიწოდებული ინტერნეტის საშუალო თვიური ღირებულება ერთ გგბიტ/წმ-ზე შეადგენდა 115,283 ლარს, მოცემულ პერიოდში მაქსიმალური ფასი იყო 385,593, ლარი, ხოლო მინიმალური ფასი - 54,479 ლარი.

სს „სილქნეტის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ კომპანიის მიერ 2011 წლის 12 თვის მონაცემების მიხედვით ავტორიზებულ პირებზე მიწოდებული ინტერნეტის საშუალო თვიური ღირებულება ერთ გგბიტ/წმ-ზე შეადგენდა 159,625 ლარს, მოცემულ პერიოდში მაქსიმალური ფასი იყო 748,701 ლარი, ხოლო მინიმალური ფასი - 98,742 ლარი.

2012 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ავტორიზებულ პირებზე მიწოდებული ინტერნეტის საშუალო თვიური ღირებულება ერთ გგბიტ/წმ-ზე შეადგენდა 132,717 ლარს, მოცემულ პერიოდში მაქსიმალური ფასი იყო 690,797 ლარი, ხოლო მინიმალური ფასი -91,402 ლარი.

შენიშვნა: სს "სილქნეტის" მიერ წარმოდგენილი 2011 წლის და 2012 წლის 9 თვის გლობალური ინტერნეტის ტარიფების შესახებ ინფორმაციიდან, ტარიფების მაქსიმალური ოდენობის იდენტიფიცირების მიზნებისთვის შპს "სკაი სერვისისთვის" და შპს „ინტელ ფონისთვის“ სს "სილქნეტის" მიერ მიწოდებული გლობალური ინტერნეტის ტარიფების გათვალისწინება არ მოხდა, რადგან ამ კომპანიებისთვის მიწოდებული გლობალური ინტერნეტის ფასი დაახლოებით ორჯერ მეტია, ვიდრე დანარჩენი კომპანიებისთვის მიწოდებული გლობალური ინტერნეტის მაქსიმალური ფასი. ამასთან, სულ ამ კომპანიებზე გაყიდული გლობალური ინტერნეტიდან შემოსავალი 2011 წლის და 2012 წლის 9 თვის პერიოდისთვის შეადგენს 8,714 ლარს (სულ შემოსავლის 1.4%).

შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ გლობალურ ინტერნეტს გადაყიდვას ახორციელებს მხოლოდ შპს „სისტემ ნეტზე“.

შპს „კავკასუს ონლაინს“ კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გლობალური ინტერნეტის ტარიფების შესახებ არ წარმოდგენია.

როგორც გლობალური ინტერნეტის მომსახურების მიწოდების ანალიზიდან ირკვევა, 2011 წლის და 2012 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანიების მიერ შესყიდული გლობალური ინტერნეტის ღირებულების 70%-იანმა შემცირებამ გამოიწვია გლობალური ინტერნეტის სხვა ავტორიზებულ პირებისთვის მიწოდების ფასის 50%-იანი შემცირება, მაშინ, როცა სხვა ქვეყნის ოპერატორებზე გაყიდული გლობალური ინტერნეტის საშუალო ფასი შემცირდა 79%-ით (იხილეთ ცხრილი N28 და ცხრილი N29). ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ კომპანიების მიერ ავტორიზებული პირებისთვის მიწოდებული გლობალური ინტერნეტის ფასები სატარიფო პოლიტიკის თვალსაზრისით არათანაბარზომიერია, ამიტომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ავტორიზებულ პირებს უნდა დაეკისროთ ინფორმაციის გამჭვირვალების უზრუნველყოფის და დისკრიმინაციის აკმაღლის ვალდებულებები, მათ შორის, პერიოდულად გამოაქვეყნონ გლობალური ინტერნეტის შეთავაზების წინადადება (ოფერტა).

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომებზე ( 2013 წლის 22 თებერვალი, 1,5,12 მარტი) ისევე, როგორც 2013 წლის 20 მარტის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კერძოდ:

**გ. ჭელიძემ, შპს „კავკასუს ონლაინის“ იურიდიული სამსახურის უფროსმა** აღნიშნა, რომ 2007 წლიდან დღემდე ბაზარზე არსებული მდგომარეობა არ არის შეცვლილი, არ მოხდარა ფაქტობრივი გარემოებების ისეთი არსებითი ცვლილება, რასაც შესაძლოა წარმოემვა იმის აუცილებლობა, რომ ამ ბაზარზე დაწყებულიყო ხელახალი კვლევა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის ხელახალი ნიშნით გამოვლენა. კომისიამ, 2007 წელს, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების დადგენისათვის მეთოდოლოგიად გამოიყენა სხვა წესები; მას შემდეგ არ განხორციელებულა რაიმე ცვლილება, მათ შორის ნორმატიული აქტით, შესაბამისად, ამჟამინდელი კვლევა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის გამოვლენის მიზნით, არ უნდა განხორციელდეს სხვა მეთოდოლოგიით, მით უფრო, რომ ეს საკითხი, ეხება ისეთ რესურსს, რომელიც არ არის დაკავშირებული გაფართოებული ურთიერთჩართვის სეგმენტში მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის განსაზღვრასთან. გ.ჭელიძემ აღნიშნა, რომ გენერირებული ტრაფიკი არ არის შპს "კავკასუს ონლაინის" საკუთრება, ხოლო იმ რესურსით, რომელიც შპს "კავკასუს ონლაინის" საკუთრებაში არ არის და შეიძლება ახლო მომავალში სხვა კომპანიის სერვერზე აღმოჩნდეს ეს ტრაფიკი, ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის გამოსავლენად, მართებული არ არის. არ არის გამართლებული მხოლოდ ერთი კომპანიის რეგულაცია ისეთ მიმართულებაზე, სადაც ეს რეგულაცია არ იქნება დამოკიდებული ამ კომპანიის საკუთრებაში არსებულ რესურსებზე. თუ მიმდინარე კვლევის შედეგად მხოლოდ ერთი ოპერატორი იქნება აღიარებული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად იმ სეგმენტზე, რომელიც ოპერატორის კონტროლს მიღმა არის, აუცილებლად, უახლოეს პერიოდში, წარმოიქმნება ახალი კომპანიები, ან არსებული კომპანიები შექმნიან იგივე მდგომარეობას, რაც დღეს არის ბაზარზე და საკითხი, რომელიც დღეს გახდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, არ დარეგულირდება. ეს ტრაფიკი მარტივად გადაინაცვლებს სხვა კომპანიაში, რომელსაც არ ექნება დარეგულირებული ფასი და სანამ შპს "კავკასუს ონლაინი" კომისიაში შემოიტანს განცხადებას და დაიწყება წარმოება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ სხვა ოპერატორების ცნობის მიზნით, ძალიან დიდი თანხების გადახდა მოუწევს შპს "კავკასუს ონლაინს" ან იძულებული გახდება

საკუთარ აბონენტებს რესურსზე წვდომა შეუფერხოს, რადგან არ ექნება შესაბამისი მოცულობის გაფართოებული ურთიერთჩართვა. გ.ჭელიძემ ასევე აღნიშნა, რომ შპს "კავკასუს ონლაინის" საკუთრებაში არსებული რესურსები იდენტურია რამდენიმე კომპანიის ხელთ არსებული რესურსებისა. კერძოდ: თანალოკაციის ფართი, არხების რაოდენობა, განვითარების ტექნიკური საშუალებები, აბონენტთა რაოდენობა და სხვა. ბოლო პერიოდში, პირიქით, გაიზარდა სხვა კომპანიების აბონენტთა რაოდენობის პროპორციული წილი ბაზარზე. დღეს რესურსების კუთხით არანაირი განსხვავება არ არის შპს "კავკასუს ონლაინსა" და სს "სილქნეტს" შორის.

გ.ჭელიძეს მიაჩნია, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკა, კერძოდ, ის, რომ "პირინგი" ამ ქვეყნებში საერთოდ გათავისუფლებულია რეგულაციისაგან, როგორც ტარიფის, ასევე ურთიერთჩართვის პირობების და წესების დადგენის თვალსაზრისით.

გ.ჭელიძის განმარტებით, არ არის საჭირო აჩქარება და შესაბამისად მიზანშეწონილია, რომ კომუნიკაციის სფეროში ყველაზე უკეთ დარეგულირებული ურთიერთობა, დარჩეს ისევე ისე, როგორც არის, ვიდრე არ ჩამოყალიბდება მოქმედების ისეთი წესები, რაც ხელს არ შეუშლის ბაზრის ამ სეგმენტის განვითარებას;

**გ. როსტომაულმა**, შპს "კავკასუს ონლაინის" კომერციულმა დირექტორმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ გაანგარიშებაში ასახულია ერთ გგბტ/წმ-ის გამტარუნარიანობის ფასი, რომელშიც არ შედის არც ტრაფიკის გენერირების ფასი და არც შესყიდული ტრაფიკის ღირებულება. შესაბამისად, თუ იქნება აღიარებული რომელიმე ოპერატორი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად და დაუდგინდება ფასი ერთ გგბტ/წმ-ზე, ეს საქართველოში ტრაფიკის გენერაციის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი იქნება. დღეის მდგომარეობით, უცხოეთიდან შემოტანილი და საქართველოში გენერირებული ტრაფიკის თანაფარდობა არის 50/50. საქართველოს ოპერატორები უცხოეთიდან შემოტანილ ტრაფიკში იხდიან გაცილებით მეტ საფასურს, ვიდრე დღევანდელი ნორმით არის დადგენილი ერთ გგბტ/წმ-ზე ფასი გაფართოებული ურთიერთჩართვისთვის. ვინაიდან, ინტერნეტ რესურსების მოხმარება აბონენტების მხრიდან არ დაიკლებს და მოთხოვნა გადინაცვლებს სხვა რესურსებზე, აღნიშნულის გამო, მისი აზრით, გაიზარდება უცხოეთიდან შემოტანილი ტრაფიკი და ფულის გადინება მოხდება უცხოელ ოპერატორებზე.

**დ. კაკაბაძემ**, შპს "კავკასუს ონლაინის" იურიდიულმა კონსულტანტმა აღნიშნა, რომ პირველ რიგში უნდა მოხდეს ბაზრის სეგმენტის იდენტიფიცირება. დ. კაკაბაძემ აზრით სეგმენტის განსაზღვრის დროს, არ შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული მხოლოდ ტრაფიკის მოცულობა და უგულებელყოფილ იქნას კონკრეტული ოპერატორების მომხმარებლების რაოდენობა, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, სწორედ მომხმარებელთა ინტერესებს ეხება საკითხი შესაბამისად, ამ მთავარი პრინციპებიდან გამომდინარე, საკითხი უნდა დაისვას, რამდენად სამართლიანი და კანონიერია, მხოლოდ შპს "კავკასუს ონლაინისთვის" ტარიფის განსაზღვრა მაშინ, როდესაც კომისია იმავე გაფართოებულ ურთიერთჩართვაში მონაწილე სხვა ოპერატორების ტარიფების ხარჯებზე ორიენტირებულობაზე არ მსჯელობს. დ. კაკაბაძემ ასევე აღნიშნა, რომ არ უნდა დარჩეს დაახლოებით 20-ჯერ მეტი ტარიფი შპს "კავკასუს ონლაინს", როდესაც რეალური ხარჯი აქვს 250 ლარი, თუმცა არ უნდა დარჩეს იგივე ტარიფი ნებისმიერ სხვა, გაფართოებულ ურთიერთჩართვაში მონაწილე ოპერატორსაც.

დ. კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან საცალო სეგმენტთან მჭიდროდ დაკავშირებული იყო, კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონაში ოპერატორის მიერ რეალურად გენერირებული ტრაფიკის ოდენობა და რესურსი, ასევე, ამ რესურსებზე ოპერატორებს შორის მოთხოვნა, მოხდა კვლევის გაფართოება და შესწავლილი იქნა ე.წ. საბითუმო სეგმენტიც. კომისიის მიერ 2007 წელს სწორად იქნა განმარტებული, რომ ეს ერთმანეთთან დაკავშირებული სეგმენტებია და ერთი მეორის გარეშე არ უნდა დარეგულირდეს. არ შეიძლება კრიტერიუმების, რომლითაც წლების წინ 12 ოპერატორი განისაზღვრა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად, სხვაგვარად ინტერპრეტირება;

**მ.გონაშვილმა**, სს "სილქნეტის" იურიდიული სამსახურის უფროსმა მოითხოვა კომისიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გადატანა კომისიის გადაწყვეტილებაში. მისი აზრით, კვლევამ გამოავლინა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ასახული უნდა იქნეს კომისიის გადაწყვეტილებაში, რათა შესაბამისად დარეგულირდეს ბაზრის სეგმენტი. მან აღნიშნა, რომ "მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების თაობაზე" კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს №5 დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად, ბაზრის შესაბამის სეგმენტზე



კონკურენტულობის კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითადი და აუცილებელი კრიტერიუმია ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილის რაოდენობრივი შეფასება, რომელიც 40%-ს შეადგენს. ეს არის სს "სილქნეტის" პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს კომისიის მიერ მიღებული ნორმატიული დოკუმენტიდან და იმ კვლევის ფაქტობრივი გარემოებიდან, რომელიც კომისიამ აწარმოა. მ.გონაშვილმა აღნიშნა, რომ სს "სილქნეტის" მოთხოვნა არის ცალსახა და მხოლოდ კანონიდან და კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს; კერძოდ, გაფართოებული ურთიერთჩართვის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ მიჩნეული უნდა იქნეს მხოლოდ შპს "კავკასუს ონლაინი" და მას უნდა დაეკისროს სატარიფო რეგულირების სახით ზედა ზღვრული ტარიფი. ტარიფი ხარჯზე ორიენტირებული უნდა იყოს, ეს ნორმა არსებობს მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზაში.

მ.გონაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ, რაც შეეხება ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საკითხს, სს "სილქნეტი" ეთანხმება წარმოდგენილი კვლევის შედეგებს, რომლის თანახმად მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად მიჩნეულ უნდა იქნეს 3 კომპანია: შპს "კავკასუს ონლაინი", სს "სილქნეტი" და შპს "სისტემნეტი" და შპს "ფოპტნეტი" - ერთად.

**ვ. აბაშიძემ**, სს "სილქნეტის" ოპერატორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ტარიფი, მხოლოდ "პირინგის" საფასური უნდა იქნეს განხილული. რაც შეეხება "ჰოსტინგის" და "კონტენტის" საფასურს, აუცილებელია, რომ გაიმიჯნოს მისი საფასური და შემდეგ კომპანიებმა და მესამე პირებმა, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე აწარმოონ თავინთი შეთავაზების გათვალისწინება პაკეტებში. ვ.აბაშიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შემდეგ, შეუძლებელია დამტკიცდეს ან დადასტურდეს, რომ ძალაში უნდა დარჩეს 20-ჯერ უფრო ძვირი ტარიფი სს "სილქნეტის" მოთხოვნაა, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში კომისიის მიერ დადგინდეს, გაფართოებული ურთიერთჩართვა 38 ლარი ღირს, 250 თუ 5000. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების სტატუსის განსაზღვრის შემთხვევაში, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს დღეს მოქმედი ნორმატიული ბაზა.

**დ. თუთბერიძემ**, შპს "კავკასიის ციფრული ქსელის" დირექტორმა აღნიშნა, რომ ურთიერთჩართვის მოცულობების შედარებისას წარმოჩინდა, რომ ამ ბაზარზე ძირითადად 2 კომპანია აწარმოებს ურთიერთანგარიშსწორებას - სს "სილქნეტი" და შპს "კავკასუს ონლაინი"; დანარჩენ კომპანიებს შორის, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ანგარიშსწორება ძირითადად არ მიმდინარეობს. შპს "კავკასიის ციფრული ქსელს" აქვს ერთ გგბტ/წმ-ზე ურთიერთჩართვა შპს "კავკასუს ონლაინთან" და სს "სილქნეტთან", დგება ანგარიშფაქტურები და სალდირება გამოდის ნული. მან აღნიშნა, რომ 5000 ლარი, დღგ-ს გარეშე, არ არის რეალური ფასი იმ მომსახურებისთვის, რასაც ურთიერთჩართული კომპანიები ერთმანეთს უწევენ. შესაბამისად, მართლაც დგას ამოცანა, რომ ეს სფერო დარეგულირდეს. ეს ორი კომპანია პოზიციებს აუცილებლად შეაჯერებს, მათ აქვთ ამის პოტენციალიც და გამოცდილებაც; მისი აზრით გაფართოებულ ურთიერთჩართვას უნდა ჩამოშორდეს ცნება "საბითუმო" და დაერქვას ამას "გაფართოებული ურთიერთჩართვა" ან "პირინგი".

დ.თუთბერიძემ ასევე აღნიშნა, რომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცალსახად აღნიშნულია, რომ ყველა ავტორიზებულ პირს ეკისრება ურთიერთჩართვის ვალდებულება, თუ მას ამის ტექნიკური საშუალება გააჩნია, მაგრამ თუ ავტორიზებული პირი გამოცხადდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად, მაშინ მასზე ვრცელდება აღნიშნული კანონის 34-ე მუხლი და ეკისრება შეუზღუდავი დაშვების ვალდებულება, აქვს საამისო ტექნიკური შესაძლებლობა თუ არა. დ. თუთბერიძის განმარტებით, ა) უნდა განისაზღვროს ყველას ურთიერთჩართვის ვალდებულება, ბ) უნდა განისაზღვროს ბაზრის სეგმენტი, და იმ ოპერატორთა სია, რომლებიც ურთიერთჩართვის ბაზარზე მართლა ახდენენ გავლენას; გ) აუცილებელია, რომ ამ სეგმენტზე მომუშავე ყველა ოპერატორი მიჩნეულ იქნეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორად და მათ შესაბამისი სპეციფიკური ვალდებულებები დაეკისროთ, რომ უარი ვერ უთხრან მსურველ ოპერატორს ურთიერთჩართვაზე; მხოლოდ ამის შემდეგ გახდება საჭირო ტარიფის დადგენა.

**ი. ვერძელმა**, კომისის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა აღნიშნა, ბაზარზე არასრულფასოვანი კონკურენციის 3 ტიპი არსებობს - მონოპოლია, ოლიგოპოლია და მონოპოლისტური კონკურენცია, რომელთაგან უკანასკნელი არ რეგულირდება, ვინაიდან ითვლება, რომ არასრულფასოვანი კონკურენციის მიერ მოტანილ ზიანზე მეტი ზიანის მომტანია მისი დარეგულირება. რეგულირდება მხოლოდ მონოპოლია და ოლიგოპოლია. მნიშვნელოვანი საბაზრო

ძალაუფლების მქონე ოპერატორის გამოვლენის ერთ-ერთი კრიტერიუმი არის ბაზრის წილი, მაგრამ არის კიდევ ორი კრიტერიუმი: 1) ბაზარზე შესვლის დაუძლეველი ბარიერი და 2) მომსახურების მიწოდების ოდენობის შემცირების გზით მომსახურებაზე ფასის გაზრდა. მისი აზრით ოპერატორი, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ იქნეს მიჩნეული სამივე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს. ბაზარზე შესვლის გარდაუვალი ბარიერი ხანგრძლივად უნდა გრძელდებოდეს და არ უნდა არსებობდეს პერსპექტივა იმისა, რომ ამ ბაზარზე სხვა მწარმოებელს ჰქონდეს შესვლის შესაძლებლობა;

მისი აზრით, შპს "კავკასუს ონლაინს" შეიძლება ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, მაგრამ აღნიშნულ ბაზარზე შესვლის გარდაუვალი ბარიერი არ არსებობს, გამომდინარე იქიდან, რომ ძირითადად, როგორც გამოიკვეთა, ტრაფიკი მიბმულია ჰოსტინგზე, რაც თავის მხრივ დიდი ინვესტიციების ჩადებას არ ითხოვს. სს "სილქნეტს" რომ მოენდომებინა ამ ხნის განმავლობაში, თვითონაც განმხდარიყო ჰოსტინგპროვაიდერი და თავისი მიმართულებით წაეღო ტრაფიკი ნაწილობრივ მაინც, ან რომელიმე სხვა პატარა კომპანიას, ამის შესაძლებლობა მათ ნამდვილად ჰქონდათ. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ეს ბაზარი ევროპაში და სხვა ქვეყნებში, არ რეგულირდება ი. ვერძეულს მიაჩნია, რომ ეს ბაზარი არ უნდა რეგულირდებოდეს არც საქართველოში;

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის სხდომაზე საკითხის განხილვისას კომისიის წევრთა შორის გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა გაფართოებული ურთიერთჩართვის ნაწილში მარეგულირებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალ-ცალკე ეყარა კენჭი გაფართოებული ურთიერთჩართვის საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტის და ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტის თაობაზე გადაწყვეტილების პროექტებს.

კომისია აღნიშნავს, რომ კომპანიების მიერ ავტორიზებული პირებისთვის მიწოდებული გლობალური ინტერნეტის ფასები სატარიფო პოლიტიკის თვალსაზრისით არათანაბარზომიერია და სხვადასხვა ავტორიზებულ პირებზე მიწოდებული ინტერნეტის ფასებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანია, ამასთან გლობალური ინტერნეტის ფასების შემცირების ტენდენციები არ აისახება სხვა ავტორიზებული პირებისათვის მიწოდებული ინტერნეტის ფასზე. ამიტომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ავტორიზებულ პირებს უნდა დაეკისროთ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის და დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებები, მათ შორის პერიოდულად გლობალური ინტერნეტის შეთავაზების წინადადების (ოფერტის) გამოქვეყნების ვალდებულება.

კომისიამ გაიზიარა, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტის კვლევისა და ანალიზის შედეგები, კერძოდ სს "სილქნეტის", შპს „კავკასუს ონლაინის“ და შპს „სისტემ ნეტის“/ შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტის“ ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ავტორიზებულ პირებად ცნობის და მათვის ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის და დისკრიმინაციის აკრძალვის სპეციფიკური ვალდებულების დაკისრების შესახებ. კომისიის აზრით, აღნიშნული რეგულაცია ხელს შეუწყობს ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე კონკურენციის განვითარებას.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ გაფართოებული ურთიერთჩართვის საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა, რაც გამოიწვია, ერთი მხრივ, კვლევის შედეგებმა, ხოლო მეორე მხრივ, დაინტერესებული პირის (სს „სილქნეტი“ და შპს „კავკასუს ონლაინი“) პოზიციებმა; ამასთან, თავად კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი პოზიცია კომისიის მიერ ცალსახად დასაბუთებულად იქნა მიჩნეული. კომისიის წევრებს სხვადასხვა აზრი ჩამოუყალიბდათ მარეგულირებელი გადაწყვეტილების და ჩარევის ფარგლებზე, რის გამოც კენჭისყრაზე დადგა არა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი, არამედ კომისიონერთა წინადადებები.

**პირველად,** კენჭი ეყარა გაფართოებული ურთიერთჩართვის საბითუმო ბაზრის სეგმენტზე შპს "კავკასუს ონლაინის" მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტად ცნობას და სხვა სპეციფიკურ ვალდებულებებთან ერთად, მის მიერ წარმოდგენილი დანახარჯების განაწილების მოდელის შესაბამისად, კომპანიისთვის ზედა ზღვრული ტარიფის დადგენას.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა მხოლოდ კომისიის წევრმა კ. კვიციანიშვილმა.

**მეორედ,** კენჭი ეყარა გაფართოებული ურთიერთჩართვის საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ ყველა იმ ავტორიზებული პირის აღიარების საკითხს ვინც ბაზრის ამ სეგმენტზე ფუნქციონირებს, ხოლო სატარიფო რეგულირების ვალდებულების შპს "კავკასუს ონლაინისა" და სს "სილქნეტის" დაკისრებას და მათთვის ამ ვალდებულების ფარგლებში მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფის განსაზღვრას, მათ მიერ წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა: ი. მოსეშვილმა და ს. ბრიტანჩუკმა.

**მესამედ,** კენჭი ეყარა გაფართოებული ურთიერთჩართვის ნაწილში კომისიის მიერ დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ამ ეტაპზე შეწყვეტას და ახალი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საკითხს, რომლის ინიციატორი კომისიის წევრი ბატონი ა. სიხარულიძე იყო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა თავად წინადადების ინიციატორმა კომისიის წევრმა ა.სიხარულიძემ, **წინააღმდეგნი წავიდნენ კომისიის წევრები:** კ. კვიციანიშვილი, ი. მოსეშვილი და ს. ბრიტანჩუკი.

კომისია აღნიშნავს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

კომისია აღნიშნავს, რომ ვინაიდან კომისიის სხდომაზე კენჭისყრაზე დაყენებული გადაწყვეტილების სამი სავარაუდო პროექტიდან პირველს და მესამეს მხარი დაუჭირა კომისიის მხოლოდ ერთმა წევრმა, ხოლო მეორე ვარიანტთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შორის ხმები გაიყო, ამავე დროს, ვინაიდან კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის თავმჯდომარე, კომისიამ გაფართოებული ურთიერთჩართვის საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ფარგლებში ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების ქვესეგმენტზე კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

#### **გადაწყვიტა:**

1. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვროს საქართველოს მთელი ტერიტორია;

2. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების ჯგუფი განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) შპს "კავკასუს ონლაინი";

ბ) შპს "სისტემნეტი"/ შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოკტნეტი“;

გ) სს "სილქნეტი";

დ) შპს „რკინიგზის ტელეკომი“.

3. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ დადგინდეს შემდეგი ავტორიზებული პირები:

ა) შპს "კავკასუს ონლაინი";

ბ) შპს "სისტემნეტი"/ შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოკტნეტი“;

გ) სს "სილქნეტი".

4. ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისროს შემდეგი ვალდებულებები:

**4.1. ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება,** შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა 2013 წლის 1 აგვისტომდე საჯაროდ გამოაქვეყნოს ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა); მოწვევის ოფერტაში ასახული უნდა იქნეს ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მიწოდების არსებითი პირობები, მათ შორის:

ა.ა) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მიწოდების მისამართ(ებ)ი, ამ წერტილ(ებ)ში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა;

ა.ბ) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების ტარიფები, განზომილების შესაბამის ერთეულებში - ლარი/მგბტ.წმ;

ა.გ) ანგარიშსწორების პირობები;

ა.დ) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვებაზე, მსურველი პირისაგან აქცეპტის ან დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის თაობაზე განაცხადების მიღებისას, მათი განხილვის პირობები და პროცედურები.

ა.ე) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მოწვევის ოფერტაზე მსურველი აქცეპტანტი პირის მიერ აქცეპტის წარმოდგენის თარიღიდან არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეს;

ა.თ) ექსტრაორდინალურ, ფორსმაჟორულ, ავარიულ და სარემონტო სამუშაოების შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები;

ა.ი) ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები;

ა.კ) მოწვევის ოფერტის მოქმედების არანაკლებ 6-თვიანი ვადა.

ბ) მოქმედი მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა კომისიაში წარმოადგინოს საჯაროდ გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტის არსებით პირობებში, შესაძლო ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე დოკუმენტაცია და მოქმედი მოწვევის ოფერტის ვადის დასრულებამდე 10 კალენდარული დღით ადრე გამოაქვეყნოს ახალი (ან მოდიფიცირებული პირობებით) მოწვევის ოფერტა.

**4.2. დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება**, შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა უზრუნველყონ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მსურველი (აქცეპტანტი) ავტორიზებული პირისათვის მიწოდება იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით), რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, აფილირებული ან/და სხვა ავტორიზებული პირებისათვის;

ბ) ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა უზრუნველყონ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების პირობების (მათ შორის ტექნიკური ხასიათის) თაობაზე ინფორმაციის ყველა მსურველი ავტორიზებული პირისათვის შეუზღუდავად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად მიწოდება.

5. ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაევალოთ ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების უზრუნველყოფა საკუთარ ქსელის ტექნიკურად დასაშვებ ნებისმიერ წერტილში.

6. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (ე.ასანიძე).

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

ს. ბრიტანჩუკი

ა. სიხარულიძე

კ. კვიციანი

ი. მოსეშვილი